36-064
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუბა
ხუციშვილი

ავტობიოგრაფია

ეკეთი ხეკეს

ბუბენი
ხუმრა
ბაქითაოთილ
ბალეტი

..ნაჩაკაფული..

თბილისი
1968

ეროვნული ბიბლიოთეკა

8C99.962.5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სეგ-2000

მუშნი ლავრენტის ძე ხაშბა დაიბადა 1903 წ. ოჩამჩირის რაიონში—სოფელ ფოქვეშში. 1915 წ. ფოქვეშის სამრევლო სკოლის დამთავრების შემდეგ შევიდა ოჩამჩირის დაწყებით სასწავლებელში, შემდეგ სწავლა გააგრძელა სოხუმის სამასწავლებლო სემინარიაში. 1927 წ. დაამთავრა მოსკოვის ჟურნალისტიკის ინსტიტუტი. რამდენიმე წელი რედაქტორობდა აფხაზურ გაზეთ „აფსნი ყაფშს“ და ამავე სახელწოდების ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალს.

მ. ხაშბამ შემოქმედებითი მოღვაწეობა 1919 წ. დაიწყო. იგი ცნობილია თავისი ლექსებით და მოთხრობებით. თარგმნის მხატვრულ და პოლიტიკურ ლიტერატურას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაქითათის ნაამგოგი

ვიკრიკმა აჩირხამ სოფელი კარდაკარ ჩამოიარა და ყველას გამოუცხადა, ხვალისათვის თავყრილობაა დანიშნული, რაიონის ხელმძღვანელები უნდა გვეწვიონ და არავინ დააკლდესო.

მეორე დღეს კვირა იყო და ხალხმა სოფლის საბჭოს წინ დილიდანვე მოიყარა თავი. სამკითხველო მორთულ-მოკაზმული ახალგაზრდებით გაივსო. აშრიალდა ახალი ჟურნალ-გაზეთები, ქალებმა და ვაჟებმა ჯერ მორცხვად დაუწყეს ერთმანეთს ლაპარაკი, მერე გათამამდნენ, მასლაათი გააბეს. გამრავლდა მარილიანი სიტყვა და სიცილი.

სოფლის საბჭოს წინ ადამისდროინდელი ცაცხვი იდგა, ფართოდ ტოტებგაშლილი. ამ ცაცხვის ქვეშ, ხის ფესვებზე, მოხუცები დამსხდარიყვნენ, ყალიონს აბოლებდნენ და თან ტკბილად მუსაიფობდნენ.

მოხუცებში იჯდა ორმოცდაათ წელს გადაცილებული ტიუბა მაქითათი. მას ლამაზ-ლამაზი ამბების თხრობა უყვარდა და მსმენელიც არასოდეს ელეოდა.

მოხუცმა გირჯინბა ოსმანმა ქამარზე დაკიდებული ოქროსფერი ქისა გახსნა, დაჭრილი თამბაქო სამი თითით ამოიღო, ყალიონში ჩატენა და მაქითათის მიუბრუნდა:

—ჰეი, მეზობელო, რა ხანია შენი ამბები აღარ მომისმენია, მოდი ერთი, გაგვამხიარულე.

მაქითათიმ განგებ იუარა, მაგრამ ახლა სხვებმაც სთხოვეს და მოხსნა გუდას პირი.

— ყველა საქმეს თავი აქვს და ყველა ამბავს თავისი დასაწყისი. თუ ამბის დასაწყისი თავიდანვე არ გიამბეთ, ისე მის ბოლოს ვერაფერს გაუგებთ. ახლა ისეთ რამეს მოგიყვებით, რაც ჯერ არავისთვის მითქვამს. ბევრი რამ გადამხდა ცხოვრებაში. უამრავი შეცდომა ჩამადენინა ჩემმა უთაურობამ, მაგრამ ვაი, რომ მათი გამოსწორება აღარ შემიძლია. მხოლოდ ერთიღა მანუგეშებს: ახალგაზრდებს შეუძლიათ ჩემს შეცდომებზე ისწავლონ. წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო, ნათქვამია. მე ჩემს ამბებს იმიტომ ვყვები, რომ ხრამზე ხიდად გავდო, რათა ცხოვრების გზაზე მიმავალმა ჭაბუკმა სწორედ გაიაროს და ხრამში არ გადაიჩეხოს.

— ჰო, ჰო, ნუ გაჭიმე, დაიწყე ბარემ. ნუ გეშინია, რასაც კარგს გავიგონებთ, შვილიშვილებს გადავცემთ, — უთხრა ოსმანმა და ჩიბუხი კბილებში გაიჩარა. მერე ტალზე აბედი დაადო, კვესი ჩამოჰკრა და ქვას ნაპერწკლები გააყრევინა. აბოლებული აბედით ჩიბუხი გააჩაღა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქითათიმ შუბლი მოისრისა, მცირე ხანს ჩაფიქრდა და დაიწყო:

—ძველად ასეთი კი არ ვიყავი, ახლა რომ ვარ. მთელი ჩვენი მხარის ქალიშვილებს ჩემზე ეჭირათ თვალი. გოგოებს პირველ დანახვისთანავე გულში ვუვარდებოდი, ბიჭებს ჩემი თოფ-იარაღის შურით გული უსკდებოდათ. ჩემს ირღას ბადალი არ ჰყავდა აფხაზეთში. უჩემოდ ქორწილს არავინ იხდიდა და ქელეხს. ხალხი თავადიშვილებში არ მარჩევდა. გალაღებული და გაყოყლოჩინებული არხეინად დავაჭენებდი ცხენს აღმა-დაღმა. ბევრ ქალიშვილს დავუკარგე ჭკუა და მერე მშრალზე დავტოვე. როგორი ლამაზი გოგოც არ უნდა ყოფილიყო, ოღონდ ერთი ენა დამესველებინა, ამაღამ ცოლად გამომყევი-მეთქი, მაშინვე ცხენზე შემომიჯდებოდა და ჰაიდა! მაგრამ აჰ... ამ ამბავმა მეც თან გადამიყოლა. მაშინ რომ ჭკუა მომეხმარა და ცოლი შემერთო, ქვეყანაზე ასე გაუბედურებული აღარ ვიქნებოდი. თქვენსავით მეც მექნებოდა ოჯახი, მეყოლებოდა ჯალაბი, დავტკბებოდი შვილიშვილების ცქერით. მაგრამ რას ვეწიო ახლა? დროს და მდინარეს უკან ვერავინ დააბრუნებს. ცოლის თხოვა რომ დავაპირე, უკვე აღარავინ მომწონდა. ზოგზე ვამბობდი, ნეხვის სოკოსავით გაზრდილიამეთქი, ზოგს გვალვის შვილი შევარქვი, ზოგიც იმიტომ დავიწუნე, რომ მდაბიო გვარისა იყო. თურმე როგორ ვცდებოდი! ჩემს დაწუნებულ ქალიშვილთაგან ერთიც არ დარჩენილა შინაბერად. ყველას გაუჭრა ბედ-იღბალმა, ყველა გათხოვდა თავის შესაფერისზე და ბედნიერი ოჯახი შექმნა. მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მაინც სულ მარტოდმარტო დავრჩი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაქითათიმ რკინის წვერიანი ჯოხით ისე დაუწყო მი-
წას ჩხვერა, თითქოს მისი უბედურების მიზეზი ის ყოფი-
ლიყოს.

— ნუ გეშინია, მეზობელო, — დააიმედა ჯანგიათამ.—
ამბობენ, მალე ხალხი კოლექტივში გაერთიანდებაო, შენც
შეხვალ კოლექტივში და მარტო აღარ იქნები არც ყანაში
და არც სუფრაზე.

— ჰო, ეგ თუ მიშველის, თორემ მალე ჩემით ღომსაც
ველარ მოვაცოდვილებ და შიმშილით ამომძვრება სული.
ახია ჩემზე. ხომ გაგიგონიათ, რაც მოგივა, დავითაო, ყვე-
ლა შენი თავითაო. ახლა რომ მაგონდება, ახალგაზრდობა-
ში რაც ჩავიდინე, ჩემი თავის თვითვე მრცხვენია. აი, აქ
თითქმის ყველანი მოხუცები სხედხართ და ალბათ გემახ-
სოვრებათ ჩვენი სოფლის განაპირას მცხოვრები ხაკუცა
ტყუაზბა. ხაკუცა თუ გახსოვთ, ისიც მოიგონეთ, რა ლამა-
ზი ქალიშვილი ჰყავდა. ის ქალიშვილი ახლაც თვალწინ
მიდგას. ვარსკვლავებს ეთამაშებოდა. ერთი შეხედვა საკ-
მარისი იყო, რომ კაცს შეჰყვარებოდა. გუპხანაში პირვე-
ლად მაშინ ვნახე, როცა ქალიშვილობაში შედიოდა. ვნახე
და შემიყვარდა.

გუპხანაშის მამა ერთი ღარიბი კაცი იყო, ალბათ გახ-
სოვთ, უჭირდა ქალიშვილის აღზრდა და დედულეთს გააგ-
ზავნა, თავის ცოლისძმასთან.

გუპხანაშის ბიძა ნავსადგურში მუშაობდა მეკურტნედ.
თურქეთიდან მოსულ გემებს სცლიდა და ტვირთავდა.
მცირე შემოსავალი ჰქონდა, მაგრამ რასაც იშოვიდა, მომ-
ჭირნეობდა და თავისი ჯამაგირით არა მარტო არჩენდა
დისშვილს, ასწავლიდა კიდეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ შემოდგომაზე სოფელ წკუარაში მაყრად დამპატიჟეს, ვხედავ, ის გოგოც იქ არაა! გულში ისეთი ცეცხლი ამენთო, კინაღამ დავინაცრე კაცი. მაშინ საბოლოოდ გადაწყვიტე, ან ამ გოგოს ვითხოვ, ან არავის-მეთქი. იმანაც ერთი ისეთნაირად შემომხედა, თითქოს დამიდასტურა ნათქვამი, ნუ გეშინია, მეც შენს ტაფაში ვიწვიო. მეტი რა მინდოდა! იმ დღეს ჩემს სულში სიხარულისა და ბედნიერების ქორწილი გაიმართა. ამბობენ, მხოლოდ ყური გაეჩინა ალაჰმა სასმენელადო, მაგრამ, ჩემი ფიქრით, არაფერს არ შეუძლია ისე კარგად მოსმენა, როგორც გულს. გულს ათასი თვალი და ათასი ყური აქვს. ხშირია შემთხვევა, კაცი შენს ახლოს ლაპარაკობს და არ გესმის, მაგრამ შენმა სატრფომ სადღაც შორს რომ წაიჩურჩულოს, მაშინვე გაიგონებ, გაიგონებ გულით და ამის გამო უცნაური ჟრუანტელი დაგივლის. აი, ასე იყო იმ დღეს. სადაც არ უნდა ყოფილიყო გუპხანაში, მისი ხმა მესმოდა. გუპხანაში ფანდურის ლარებზე ბროლის თითებს ათამაშებდა და ასე მეგონა, ფანდურის ნაცვლად ხელში ჩემი გული უკავია-მეთქი. მღეროდა გუპხანაში და ჩემი გული იმეორებდა ამ სიმღერას. ის ხმა ახლაც კი გალობს ჩემს სულში. მართალია, ხანდახან ექიმის დანასავით მჩხვლეტს, მაგრამ ეს ჩხვლეტა ალერსზე მეტად სასიამოვნო მეჩვენება. რაღა ბევრი გავაგრძელო, იმ ქორწილში ჩვენმა გულებმა ერთიმეორეს გასძახ-გამოსძახეს და დიდი იმედით ფრთაშესხმულნი მეცხრე ცაში გაფრინდნენ.

მაგრამ ეს წუთისოფელი განა დიდხანს გაახარებს ვინმეს! ზოგს თავის სისწორე ღუპავს და ზოგს — სიმრუდე. ხომ იცით, ოდითგანვე სოფელი ჭორიანია. ხალხმა ოლონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც საბაბი იშოვოს და ერთ წვეთს ზღვად აქცევს, ბუზს აქლემად გახდის. ჭორი ჰგავს მთიდან დაგორებულ თოვლის გუნდას, თანდათან რომ იზრდება და ბოლოს ისეთ ზვავად იქცევა, რომელიც ყველაფერს გლეჯს, რაც გზაზე შეხვდება. აი, სამყარო ხომ დიდია, ჭორი იმაზე დიდი ხდება ხოლმე. ხალხმა ჩვენი, მე და გუპხანაშის სიყვარულიც საჭორაოდ აქცია, გაწელა და გაჭიმა. ზოგი აღაშფოთა კიდეც ამ ამბავმა, დაგვიწყეს გაკილვა და დაძრახვა. სულ ჩვენზე ტუტუნებდნენ, თითქოს სხვა საქმე აღარა ჰქონდათ: „გაიგეთ, რა სისულელეს სჩადის ხაზარათ ტუიბას შვილი, თურმე ტყუაზბა ხაკუცას ქალიშვილს თხოულობს, ცოცხლად მარხავს თავის გვარს. ამ უგვარო და უსახელო კაცის ქალიშვილი რომ არ შეირთოს, ქვეყანაზე კარგი ქალიშვილები გაწყდა?"

ბოროტი ენები ცეცხლს უნთებდნენ ჩემს ბიძაშვილებს, მიმხედრებდნენ და ერთ დღეს მთელმა ჩვენმა ნათესაობამ მამაჩემის ეზოში მოიყარა თავი.

ეზოში აი, ასეთი მაღალი ცაცხვი იდგა, იმ ცაცხვის ქვეშ ჩამომსხდარმა ტუიბებმა პირველად მე და მამაჩემი ახლოსაც არ მიგვიკარეს. მამაჩემი გულმოსული მიუჯდა ბუხარს, წამდაუწუმ ჩიბუხს ტენიდა და განუწყვეტლივ აბოლებდა. დანა რომ დაერტყათ, წვეთი სისხლი არ გამოუვიდოდა. თავჩაქინდრულს ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. იმ დროს დედაჩემი უკვე აღარ იყო ცოცხალი. მე ტახტზე ვიყავი გაშოტილი, გულზე ხელებდაკრეფილი ვფიქრობდი და ვფიქრობდი გუპხანაშზე.

ჩვენი ნათესავები დილიდან საღამომდე რაღაცას ჩურჩულებდნენ. მამაჩემი ისევ ჩიბუხს აბოლებდა და ბუხარში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპურჭყებდა. მე კი ამ ხნის განმავლობაში რა არ ვიფიქრე: ხან გადავწყვიტე, ჩემს სატრფოსთან ერთად სადმე უცხო მხარეს გავქცეულიყავ, სადაც არავინ გვიცნობდა, ხან ვინატრე, ნეტავი გუპხანაში ხაკუცას ქალიშვილი არ იყოს, ნეტავი ვინმე მემამულეს მისთვის ქალიშვილი აღსაზრდელად მიებარებინა-მეთქი. ეჰ, მაშინ ხომ ყველა შემაქებდა: კარგი ვაჟკაცი ყოფილხარო. შენა ხარ ჩვენი გვარის ბედნიერი შვილი და ამამაღლებელიო. სადაც არ უნდა გამოვჩენილიყავი ამ დროს, პატივისცემის ნიშნად ხელში ამიყვანდნენ და ისე მატარებდნენ. ეჰ, ფიქრს რა არ შეუძლია, მაგრამ მისი აშენებული ქვეყანა ხომ ერთ წამში იმსხვრევა ისე, რომ მისგან არაფერი რჩება! ასე დაემართა ჩემს ოცნებასაც.

საღამოზე ნათესავებმა ჩემი ტოლი ჭაბუკი მოგვიგზავნეს. მე და მამაჩემი გვიხმეს: ჩვენი აზრის მოსასმენად ცაცხვქვეშ მობრძანდითო.

მივედით.

— ეჰ, ჩემო ხაზარათ, ერთი შვილი გყავს და ისიც ვერ გაგიზრდია რიგიანად, — მისვლისთანავე მოგვახალა მოხუცმა მიხამ და გაიმეორა: — ვერ გაგიზრდია, ვერა, რიგიანად.

მერე გვერდით მჯდომს მიუბრუნდა:

— ხუსენ, ხაზარათს ჩვენი გადაწყვეტილება აუწყე.

ხუსენი, ღმერთმა აცხონოს, სახელგანთქმული კაცი იყო, ლაპარაკიც კარგი იცოდა, ოქროპირს ეძახდნენ. კარგ მსროლელ ჯარისკაცსა ჰგავდა, სიტყვას ყოველთვის ზუსტად არტყამდა მიზანში.

— ჩემო ხაზარათ, — დაიწყო მან დინჯად, — ეს ხალ-

ხი უსაქმური კი არაა, მაგრამ ისეთი რამ მოხდა, საქმე მი-
გვატოვებინა და შენს ეზოში შეგვყარა, შეგვყარა ავი ამბის
განსასჯელად. მთელი დღე ვთათბირობდით, საქმეს ხან
ისე და ხან ასე ვწონიდით და საბოლოოდ ყველა ერთ აზრ-
ზე დავდექით, ერთი დასკვნა გამოვიტანეთ: შენს შვილს
სურს ჩვენი გვარის შერცხვენა.

მამაჩემი გაფითრდა, მე კი გულში ცეცხლის ქარბორ-
ბალა დამიტრიალდა, სუნთქვა შემეკრა. ხუსენი კვლავ გა-
ნაგრძობდა:

— ჩვენ, ძმაო, უბატონო გლეხები ვართ, თავისუფალ-
ნი. აქამდე ჩვენი სისხლი არავის აუმღვრევია და თუ ვინმე
მოინდომებს ამას, ნებას არ მივცემთ. თუ შენს ვაჟიშვილს
ცოლის თხოვა მოუნდა, ქვეყანაზე განა ჩვენი გვარის შესა-
ფერისი ქალიშვილი ცოტაა? მოიყვანოს და დავლოცავთ.
რა გაუჭირდა ისეთი, რომ მაინცდამაინც ყმა-გლეხის და
მეკურტნის ოჯახიდან გამოსულ ქალიშვილს გადაეკიდა!
ვერა და ვერა, ამის ნებას ვერ მივცემთ!

ხუსენმა კიდევ ბევრი ილაპარაკა, მაგრამ მე აღარაფე-
რი გამიგონია, გვიან მოვედი გონს და მხოლოდ მის ბოლო
სიტყვებს მოვკარი ყური:

— თუ შენი ვაჟიშვილი არ დაიშლის და იმ გომბიოს
შეირთავს, ჩვენ შორის ხრამი გაჩნდება. როცა მოკვდები,
არ მოვალთ სატირლად. ჩვენთაგანი მოკვდება ვინმე და
არ მოგიშვებთ მის სატირლად. ამას სხვები კი არა, შენი
ღვიძლი ძმები და ბიძაშვილები გეუბნებით. თუ გინდა ჩვე-
ნი გვარიდან გაირიყო, დაარღვიე ეს სიტყვა, თუ არადა
დაემორჩილე ჩვენს გადაწყვეტილებას.

— ჰო, ასე უნდა იყოს, ასე!—წამოიძახა ყველამ ერთ-ხმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ზუზუნი შხამივით ჩამეღვარა გულში. ფეხი დავ-კარი და ეზოდან გავვარდი.

მეორე დღეს ჭორიკნები ისევ ალაქლაქდნენ. რაც ტუ-იბებმა ჩვენს ეზოში ილაპარაკეს, ყველაფერი გაბერეს, გადააბრუნ-გადმოაბრუნეს და ისე მიუტანეს ხაკუცას. ხა-კუცა აღუშფოთებია ამ ამბავს, ხოლო მისი ქალიშვილი დარდს მისცემია.

არც მე დამადგა კარგი დღე, ლოგინად ჩავვარდი და ორი კვირა ვიავადმყოფე. როცა მოვრჩი, ვთქვი, გულს გა-დავაყოლებ-მეთქი, ავიკიდე სიმინდიანი ტომარა და წის-ქვილში გავეშურე. უკან რომ ვბრუნდებოდი, არანაას მთის ძირში, წყაროს მახლობლად, მოულოდნელად გუპ-ხანაშს შევხვდი. წყალზე იყო მოსული. რომ დავინახე, ცივ-მა ოფლმა დამასხა.

— მაქითათი, ეს შენა ხარ? — წაიჩურჩულა მან, თავი მორცხვად ჩაღუნა და კოკა ძირს ჩამოდგა. მერე თავის თი-თებს დაუწყო მტვრევა და წვალება, დამფრთხალ შველსა ჰგავდა.

დავიბენი, არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მაშინვე ის გავიფიქრე, ჩვენიანებმა რომ ვინმემ დამლანდოს, დაიღუ-პება მამაჩემი, ყველა შეიძულებს-მეთქი და მივიხედ-მო-ვიხედე, ხომ არავინ გვიცქეროდა.

ალაჰმა უწყის, ჩემი ასეთი აფორიაქება არ მოეწონა თუ სხვა რამ, შევატყვე, რაღაც ეწყინა. ერთ ხანს გაშტე-რდა. მხოლოდ ყელის ძარღვები უთამაშებდა. ალბათ მოზ-ღვავებული ცრემლი ებჯინებოდა სასულეში და ახრჩობ-

და. ბოლოს თავი დაიოკა, შემომხედა და აცახცახებული ხმით მკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაქითათი, ძალიან შეცვლილხარ, ძლივსღა გიცანი, რამ გადაგასხვაფერა ასე?

ენა ვერ დავძარი. სიტყვა ყელში გამეხირა.

უხერხული დუმილი ისევ მან დაარღვია:

— მე უფრო ვაჟკაცი მეგონე. თუ ოდესმე ნამდვილად გიყვარდი და ეს სიყვარული ანთებისთანავე ჩალის ცეცხლივით არ ჩამქრალა, ასე არ უნდა მოგეხარა ქედი. მე მჯერა, რომ არ არსებობს ძალა, რომელმაც ნამდვილი სიყვარულის დამარცხება შეძლოს. შენს ნათესავებს უფლება აქვთ დაგიშალონ მათ გვერდით ცხოვრება, მაგრამ თუ მოინდომებ, შენს ბედნიერებას წინ ვერ გადაეღობებიან. ქალაქში წამომყევი, ერთად ვისწავლოთ და ვიშრომოთ, მე არ მეშინია ცხოვრების. ჩემთან არასოდეს გაგიჭირდება, იცოდე.

ეს სიტყვები ბრძანებას ჰგავდა, მაგრამ მხოლოდ მუდარა იყო, სიყვარულით სავსე წრფელი გულის მუდარა.

წამით გადავწყვიტე, ფეხი დამეკრა და გუპხანაშთან ერთად ქალაქში გავქცეულიყავი, მაგრამ უმალვე გადავიფიქრე. წარმოვიდგინე, მამაჩემი რა დღეში ჩავარდებოდა და შემეცოდა. მერე გუპხანაშის მეკურტნე ბიძა მომაგონდა. მომეჩვენა, თითქოს მისი კურტანი ზურგზე მეკიდა და მძიმე ტვირთს ქალაქის ქუჩებში მე ვეზიდებოდი. შევშინდი, შევცბი და იოლ ცხოვრებას ჩვეულმა კაცმა უარი ვთქვი სიყვარულზე, საკუთარი გულის წინააღმდეგ წავედი. იმ წუთში მე ღა გუპხანაში ერთიმეორის გვერდით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდექით, მაგრამ ჩვენ შორის ისეთი მთა იდგა, ვერა და ვერ გადავლახავდი.

— გუპხანაშ, ჩვენი ბედის ვარსკვლავები სხვადასხვა ადგილზეა ცაში. წადი შენი გზით, ალაჰმა მოგიმართოს ხელი, მე კი ჩემი გზით წავალ. რა ვქნა, ასეთი ყოფილა ჩემი ბედი. — ესა ვთქვი და მისთვის არც შემიხედავს, მოვტრიალდი და ბილიკს გამოვყევი.

— დაფიქრდი კიდევ, დაფიქრდი, შენს საბოლოო პასუხს დაველოდები, — მომესმა გუპხანაშის ცრემლნარევი ხმა, მაგრამ მე არც პასუხი მიმიცია და არც მივბრუნებულვარ. ვითომდაც არაფერი გამიგონია, ნაბიჯს ავუჩქარე და გავშორდი იქაურობას.

მას შემდეგ კარგა ხანმა გაიარა. გუპხანაში კიდევ დიდხანს არ მივიწყებდა: ხან დობილს დააბარა ჩემთან სიტყვა, ხან წერილი გამომიგზავნა, მაგრამ რაც უფრო მესიყვარულებოდა, მით უფრო და უფრო ცივ პასუხს ვუგზავნიდი. ბოლოს ალბათ გაგულისდა და ჩამომშორდა.

მე კვლავ არხეინად დავაჭენებდი ცხენს აღმა-დაღმა და ჩემი ნათესავების გულის ჭიას ვახარებდი — საცოლედ თავადის ქალიშვილს ვეძებდი. მაგრამ ამაოდ: თავადის ქალიშვილები შორიდან კი მიღიმოდნენ, მიცინოდნენ, მივიდოდი ახლოს და შენც არ მომიკვდე! სათოფეზე არ მიკარებდნენ, გამირბოდნენ, ცოლობა რომ მეთხოვა, ალბათ თავსაც გამიტეხდნენ.

კარგა ხანს ასე ვიხეტიალე და გვიან მოვედი გონს, რომ ამ ხეტიალში ოქროს წლები დავკარგე, ახალგაზრდობა მარტის თოვლივით შემომადნა ხელში. მერე საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და გვარებს შორის ზღვარი წაი-

შალა. გუპხანაში ბევრჯერ მოვიგონე, მაგრამ რაღა დროს! არც გუპხანაში ჩანდა სადმე და აღარც მე გახლდით—ცოლე ბიჭი. ასე დავკარგე პირველი სიყვარული და მასთან ერთად ჩემი ბედნიერებაც, აბა!

მსმენელებმა შეატყვეს, მაქითათი აქ აპირებდა თავისი ამბის დამთავრებას და დაუქინეს, გააგრძელეო.

— რაღა გავაგრძელო, მას შემდეგ გუპხანაში აღარსად შემხვედრია, — უარზე დადგა მაქითათი.

— აი, ის გვიამბე, დიდგვაროვანსა და მზითვიან საცოლეს რომ ეძებდი. ხომ იცი, არ მოგეშვებით და რას გვახვეწნინებ! მიდი, მოჰყე, დრო მაინც ბევრი გვაქვს, — უთხრა ბაზალამ, რომელიც ამ დროს ცერით ყალიონში თუთუნს ტენიდა.

მაქითათიმ შეატყო, არ მომეშვებიანო და განაგრძო:

— რასაც ახლა გიამბობთ, მოხდა იმის მეორე წელს, ჩვენში დიდი რომ მოთოვა. იმპერიალისტური ომი იყო მაშინ. სისხლის ტბორები იდგა, მე კი სოფელ-სოფელ დავჭენაობდი და მდიდარ საცოლეს ვეძებდი. ბევრი დავიდარაბა გადამხდა, მაგრამ გულს არ ვიტეხდი. წელანაც გითხარით, ვინც მე მინდოდა, იმას მე არ ვუნდოდი, ვისაც ჩემი ცოლად გახდომა სურდა, მე არ მოვინდომე და გამიჩნდა დარდი. ეჰ, რა ცუდადაა მოწყობილი ეს წუთისოფელი! სიყვარულის საქმე ხომ სულ არეული აქვს ალაჰს. ვინ იცის, რამდენს ვეცოდებოდი, რამდენი დარდობდა ჩემზე და მე აინუნშიაც არ ვაგდებდი მათ. ვინ იცის, რამდენის გამო დავიტანჯე, ისინი კი ჩემს ტანჯვას დასცინოდნენ. ვეძებდი ქალს, რომელიც სიყვარულის დიდ ცეცხლს ამინთებდა გულში, მაგრამ ასეთი არავინ ჩანდა. შეიძლება მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

К 36.069

ზეზი ისიც იყო, რომ ერთხელ ჩემი გული უკვე გადაიხანძრა სიყვარულის ცეცხლით და ხელახლა ვეღარ აინთებოდა. ასე იყო თუ ისე, ჩემი ბედის ვარსკვლავს ვერ მივაგენი.

ერთხელ მეზობლისაგან გავიგე, სოფელ ჟაბნაში ცხოვრობს მდიდარი კაცი აიბა რაშიდი, რომელსაც ერთიმეორეზე უკეთესი სამი ქალიშვილი ჰყავსო. უფროსი გათხოვილია უკვე და ჯერი საშუალოზეა მიმდგარიო. ისიც მითხრეს, რომ საშუალო ქალიშვილს ზიზა ერქვა. ეს ზიზა ყურმე დიდი ხანია შორიდან მიცნობდა და მოვწონდი კიდეც.

მირჩიეს: ბედი კარზე მოგდგომია და არ გაუშვაო. არიქა, ახლავე შეკაზმე ცხენი და ჰერი, ჟაბნაში გაფრინდიო.

მეორე დილითვე ცხენს მოვახტი და აიბა რაშიდისაკენ გავაჭენე. ქალის სანახავად წინასწარ მოვემზადე. წინადღით ცხენი საპნით დავბანე, უნაგირს ახალი ტყავი გადავაკარი. სამკერდულის თუ სხვა მოსართავის რკინები და ვერცხლეულის ბალთები სულ ქვიშით გავხეხე. გაუფერავი უზანგებიც არ დავტოვე. არც მე ვიყავი ნაკლებად მორთულ-მოკაზმული: ძვირფასი დიაგონალის შარვალი, აბრეშუმის ახალუხი და თეთრმასრებიანი წითელი ჩოხა მეცვა. წელზე ვერცხლის ბალთებიანი ქამარი მერტყა, ზედ მოსევადებული სათოფისწამლე და მოსევადებული ხანჯალი მეკიდა. ქამარში ისეთი დამბაჩა მქონდა გაჩრილი, ვინც დამინახავდა, შიშისაგან ელეთმელეთი მოსდიოდა. თავზე ბანჯგვლიანი ბოხოხი მეხურა. მხარზე ყაბალახი მქონდა გადაგდებული. ფეხზე უძიროები და ტარსიკონის პაჭიჭები მეცვა. უნაგირზე თასმით ება დაგორგო-

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ლავებული ნაბადი. ხელში ისეთი მათრახი მეჭირა, რომ
ეროვნული ბიბლიოთეკა
დავატყლაშუნებდი, მისი ხმა ცაში წკრიალებდა. ერთ ბა-
ტყვით, თავადიშვილებს არაფრით ჩამოვუვარდებოდი. მათ-
ზე მეტი თუ არა, ნაკლები არაფრით არ ვიყავი. მერე რა,
რომ გვარიშვილობა და ადგილ-მამული არა მქონდა? ეს
ამბავი შუბლზე ხომ არ აწერია კაცს, ვინ რას გაიგებდა?

დაიმედებული მივაჭენებდი ცხენს: ასეთ ვაჟკაცს აიბას
ქალიშვილი კი არა, ხელმწიფის ქალიშვილიც ვერ დამი-
წუნებს-მეთქი.

გლეხები თვალს რომ მომკრავდნენ, მაშინვე განზე
დგებოდნენ და მოწიწებით მესალმებოდნენ, ვიღაც დი-
დებული ვეგონე. ნაცნობებიც ვეღარა მცნობდნენ.

შუადღე იყო, ჩემი რაში ქაბნაში რომ შევაგელვე. მა-
შინ ასეთი ფართო გზები კი არ იყო. ვიწრო საურმე გზით
მივადექი უცნობ კარ-მიდამოს. ვხედავ, ჭიშკრისკენ წყლი-
დან მომავალი, მხარზე კოკაშედგმული ქალი მიდის. უკან
ოთხი-ხუთი წლის ბავშვი თითქმის დედიშობილა მიდევს
და ატამს ჭამს. ჭიშკართან მისულმა ქალმა უკან მოიხედა,
ბავშვს დაუძახა, ნაბიჯს მოუჩქარეო. ბავშვი ბაჯბაჯით გა-
იქცა. ქალმა ჭიშკრის ურდული გასწია, გააღო, პირველად
ბავშვი შეუშვა და მერე თვითონ მიჰყვა.

ცხენს მათრახი გადავკარი, ჭიშკართან მივაგდე და ქალს
გადავძახე:

— სალამი თქვენდა! — უზანგებზე ავიწიე და მარჯ-
ვენა ხელი, რომლის მაჯაზეც მათრახი მეკიდა, მკერდთან
მივიტანე.

— იცოცხლე, შენი ჭირიმე! — მიპასუხა მან, კოკა
ძირს დადგა და გახევდა. ალბათ გაუკვირდა, ამ უცნობ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონიშვილს ჩემთან რა უნდაო. მისმა შვილმა ატმის ჭამას თავი დაანება და ისიც გაკვირვებული მომაჩერდა.

— ერთი მითხარით, აიბა რაშიდის სახლი საითაა?

— იმ გორაკზე რომ დიდი კარ-მიდამო მოჩანს, ისაა.

ქალი აიბა რაშიდის სახელის ხსენებას მოერიდა. ალბათ რაშიდის გვარის რძალი იყო. მე მინდოდა მადლობა გადამეხადა, მაგრამ არ დამცალდა.

— ჰეი, უფრთხილდი, კუკუნა, ძაღლი მორბის შენკენ, ძაღლი! — აყვირდა ვიღაც ამ დროს.

ის ქალი, მე რომ მელაპარაკებოდა, უცებ დაფრთხა. კოკა ეზოშივე მიატოვა, ბავშვს ხელი დასტაცა და სახლში შევარდა.

ვერ გავიგე, რა მოხდა, ადგილზე შემოვტრიალდი და გავიხედ-გამოვიხედე.

ქალები და კაცები ქვების სროლით ვეებერთელა ძაღლს მოსდევდნენ, მაგრამ ვერ ეწეოდნენ. ძალიან რომ დაიღალნენ, შეჩერდნენ. ძაღლმა ისკუპა და სიმინდის ყანაში შეიმალა.

როცა ძაღლმა გვერდზე ჩამირბინა, ჩემი დამბაჩა მხოლოდ მაშინ მომაგონდა. ვიფიქრე, ეჰ, რა კარგი იქნებოდა, ეს ქოფაკი მომეკლა, სოფელში შემოსვლისთანავე მამაცის სახელს მოვიხვეჭდი-მეთქი. მაგრამ ახლა რაღა დროს ამაზე ფიქრი იყო. მათრახი ერთხელ კიდევ გადავუჭირე ცხენს, შევახურე და, ჰერი, დავაოთხე იქითკენ, საითაც რაშიდის კარ-მიდამო მიმასწავლეს.

გადავჭერი ღელე, შევუყევი ღორღიან ბილიკს, მერე გავივაკე და უკვე მინიშნებულ ადგილზე ვიყავი. მივადექი სახლ-კარს, მაგრამ რა სახლ-კარს! უკეთესს თვალი ვერ-

სად ნახავს ქვეყნიერების ზურგზე. ვეებერთელა სახლის წინ იმხელა ეზო იყო გადაჭიმული, მარულას გამართვდა კაცი. ისეთი ხასხასა ბალახი ბიბინებდა, ლოგინს დათმობდი და ბალახზე დაწვებოდი. სახლიდან ოცდაოდე საჟენზე იდგა ადამისდროინდელი კაკალი. ზოგს სახლი არა აქვს ისეთი კარგი, იმ ეზოს რომ ჭიშკარი ჰქონდა. ეზოში მოჩანდა: ბოსელი, საჯინიბო, ბეღელი, ნალია და ფარდული.

„ეტყობა, მდიდარი კაცია რაშიდი. მე რომ მაგის სიძე გავხდე, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს“, — გავიფიქრე მაშინვე.

დაოთხილი ცხენი ჭიშკართან დავიოკე, აღვირს მოვწიე და ყალყზე შევაყენე, მერე სახლისაკენ გავიხედე.

ორი ქალიშვილი აივანზე იდგა, ორიც სწორედ მაშინ ბოსტნიდან გამოვიდა. სილამაზეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, მზეთუნახავებსა ჰგავდნენ. გამიკვირდა, ამ ველურ მთებსა და კლდეებში ასე ლამაზი ყვავილები როგორ გაიზარდა-მეთქი?!

დიდხანს აღარ დამიყოვნებია, ჭიშკრის ურდული გავწიე, ცხენმა თავისი ჩვეულებისამებრ ქვიქვირით შეაღო იგი და ეზოში შევედით. ამ დროს სახლის კიბის ქვეშიდან უშველებელი წითელი ძაღლი გამობობღდა. დამინახა და ყეფით გამოიქცა.

ბოსტნიდან მომავალმა ერთ-ერთმა ქალიშვილმა ალბათ შორიდან მომკრა თვალი და ჭიშკრის გასაღებად წამოვიდა. მაგრამ დავასწარი ეზოში შესვლა. ერთი კიდევ შევათამაშე რაში და იმ ქალიშვილის წინ შევაჩერე. ცხენმა მაშინვე ფეხი დაასვა მიწას და ქანდაკებას დაემგვანა.

ქალიშვილმა ისე ალერსიანად მომანათა თვალები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მისმა ეშხმა კინაღამ ცხენიდან გადმომაგდო. ვგრძნობდი, სამი დანარჩენი ქალიშვილიც მე მომჩერებოდა. ეს მინდოდა მეც. ვხარობდი ამით, მაგრამ როდი ვიმჩნევდი, აივნისაკენ ერთხელაც არ გამიხედავს, წინ დამდგარ ხატებას ვუცქეროდი. ყეფით გამოქცეულმა ძაღლმა ღრენა-ღრენით ჩემს ცხენს შემოურბინა.

— ტრიზონ, ახლავე გაბრუნდი უკან! — შეუტია პატრონმა და ძირს დაიხარა თითქოს ქვის აღება უნდაო. ძაღლი მაშინვე განზე გახტა. კუდი ააქიცინა, თვალები ააფახულა, თავი დამნაშავესავით ჩაჰკიდა და კიბის ქვეშ თავის სადგომში შეიძურწა.

— სალამი თქვენდა!—თავი დავუკარი ქალიშვილს და აღვირი თავისუფლად მივუშვი.

— ალაჰმა სალამი და სიკეთე ნუ მოგიშალოს! — მიპასუხა მან.

მეორე ქალიშვილიც მოვიდა. მივესალმეთ ერთმანეთს. გულმა მიგრძნო, რომ ზიზა სწორედ ეს ქალიშვილი იყო.

— სტუმარი ღვთისაა, — მითხრა ზიზამ. — ჩამობრძანდით. იმედია,ცუდად არ გიმასპინძლებთ.

მომიახლოვდა და ის იყო, უზანგი უნდა დაეჭირა, მაგრამ დავასწარი და უმალვე მიწაზე გავჩნდი. გაუკვირდა, ალბათ გაიფიქრა, ასე მალე ცხენიდან როგორ ჩამოხტაო. მერე აღვირს ეცა, ცხენი გვერდზე წაიყვანა და საგანგებოდ ცხენების მისაბმელთან გააჩერა.

ამასობაში აივანზე მყოფი ქალიშვილებიც ჩამომეგებნენ და დიდი სახლის კიბეზე ამიძღვნენ.

— მობრძანდით, მობრძანდით. ჩვენი სახლის კარი

სტუმრებისათვის მუდამ ღიაა. მობრძანდით, — მიღიმოდა ერთი, რომელიც ყველაზე უფროსი ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან მოინდომა, აივანზე პირველს მე შემედგა ფეხი, მაგრამ არც ისეთი უვიცი ვიყავი, ასე მოვქცეულიყავი.

— რას ბრძანებთ! ალაჰმა მასპინძლობა ნუ მოგიშალოთ და, როგორც წესია, შინ ჯერ მასპინძელი უნდა შევიდეს, მერე სტუმარი. მიბრძანდით, მიბრძანდით, — მივუგე წამსვე.

— თუ შინ სტუმარი შევა პირველი, არც ამით დაირღვევა ჩვენი წესი. მასპინძელმა ყოველთვის უნდა სცეს პატივი სტუმარს. თქვენ მიბრძანდით პირველი.

ერთ ხანს ასე ვეპატიჟებოდით ერთიმეორეს, ბოლოს ჩემმა სიტყვამ გასჭრა, მასპინძლები წინ გავუშვი და მე უკან მივყევი.

აივანზე ასვლისთანავე ერთმა მათრახი გამომართვა და შინ შეიტანა, მეორემ სკამები გამოიტანა და იქ დადგა, სადაც ჩრდილი ეფინა.

— დაბრძანდით,—შემეპატიჟა ისევ უფროსი და, აიღო სკამი და მოაჯირთან გადადგა.

ყველანი ჩამოვსხედით.

მამაკაცები შინ არ იყვნენ. კვირადღეობით აქაურ მამაკაცებს შინ რა გააჩერებდათ! რაშიდს თავისი ავლადიდება სამი ქალიშვილისათვის დაეტოვებინა. მეოთხე ქალიშვილი მისი ბიძაშვილი იყო, ნაზი.

ქალიშვილთა შორის პირველად ეხერხულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მათმა ტკბილმა საუბარმა მალე გამათამამა და მეც ჩემებურად ამოვიღვი ენა. კარგად მოგეხსენებათ, სიტყვა მიჭრის და წყლიანი ხ. ჭრობაც მემარჯვება,

მაგრამ ამ მხრივ არც ის მთიელი ქალიშვილები ჩამომრ-
ჩებოდნენ. სიტყვით ისეთი ფარიკაობა გამიმართეს, კინაღ-
ამ დამამარცხეს. განსაკუთრებით რაშიდის საშუალო ქა-
ლიშვილი ზიზა მახვილსიტყვაობდა, სულ ხანჯალივით
ორლესულ სიტყვებს მესროდა. ვფიქრობდი, ამ დალოც-
ვილმა გველის სიბრძნე ხომ არსად შეითვისა-მეთქი. ზიზას
ნაზიც ეშველებოდა ხოლმე და სამიოდეჯერ უკანაც დამა-
ხევინეს, მაგრამ მერე ერთბაშად ავენთე, სული მოვითქვი
და ისე გავბასრდი, კინაღამ ჩხუბი ატყდა.

რაკი წელში გავსწორდი, გიყვარდეს, მე იმათ დღე და-
ვაყენე.

სიტყვით ფარიკაობა რომ მოგვწყინდა, ჩვენ-ჩვენი ამ-
ბების მოყოლა დავიწყეთ. უთუოდ გახსოვთ, რუსეთ-იაპო-
ნიის ომის დროს აფხაზები ჯარში არ მიჰყავდათ. რუსთა
მეფე არ გვენდობოდა. მაგრამ მე და ჩვენს ოჯახში აღზრ-
დილმა ბიჭმა, სალიბეიმ, მოვილაპარაკეთ და ჯარისკაცის
აბგები ძალით ავიკიდეთ. ქუთაისში რომ ჩაგვიყვანეს, სა-
ლიბეის ჯარის წესები არ მოეწონა და შინ გაიქცა. მე რვა
თვეს მჯიჯგნეს და მაწვალეს, მაგრამ იმის გამო, რომ რუ-
სული არ ვიცოდი თუ ჯარისკაცის გული არ მქოხდა, ვერა-
ფერი შემასწავლეს. რაკი დარწმუნდნენ, ამისგან მეომარი
არ გამოვაო, თბილისის მახლობლად გადამიყვანეს, მომ-
ცეს ხელში ბარი და წერაქვი და მითხრეს, რაკი სხვა რამე
არ შეგიძლია, აგერ გზაა გასაკეთებელი და მიწა თხარეო.
ვაი, შენს მაქითათის! ამას ველოდი!

ერთ-ორ დღეს კი ვუბლაყუნე წერაქვი, მერე დავკარი
ფეხი და გამოვიპარე. იმ ქალიშვილებთან ჩემი ჯარში
წასვლის ამბავი მოვყევი, მარა ის კი არ მითქვამს, ჯარის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცად არ გამოვდექი-მეთქი, პირიქით, იაპონიაში-ნაბრ
ძოლ კაცად გავასაღე თავი, შევთხზე ათასი გმირული საქ-
მე, რომელთა მონაწილეც ვითომ მე ვიყავი. ისიც კი ვთქვი:
შინ რომ დავბრუნდი, თავადები ყოველდღე სუფრას მიშ-
ლიდნენ, როგორც სახელგანთქმულ აფხაზს, და მთხოვდ-
ნენ, მათთვის ჩუბინი სროლა მესწავლებინა. ეს რომ დამი-
ჯერეს, ბოლოს ასეთი რამეც დავუმატე: ყაჩაღებმა კაცი
მომიგზავნეს, წამო ჩვენთან და გვიბელადე. სხვა შენგან
არაფერი არ გვინდაო, მაგრამ ასეთ ბინძურ საქმეზე რო-
გორ დავეთანხმებოდი-მეთქი. მართალი და ტყუილი სულ
ერთმანეთში ავურიე. ისეთი კორიანტელი დავაყენე, პირ-
დაღებულნი მომჩერებოდნენ, ეს ვინ ყოფილაო.

მაგრამ ყველაზე უფრო მაშინ გავაკვირვე, როცა დათ-
ვის მოკვლის ამბავი ვუამბე.

— ჩემს სიცოცხლეში არ გამიგონია, რომ შენ დათვი
მოგეკლას,—შეედავა მაქითათის მის გვერდში მჯდომი მო-
ხუცი კალაში, რომელიც პირგაცვეთილი დანით ჯოხსა
თლიდა.

— შეიძლება მეც არ გამიგონია, მაგრამ მთავარი ისაა,
რომ ეს ამბავი მათ მოვუყევი, თანაც ისე, გაოცებისაგან
პირი დააღეს. ჩემი ენაწყლიანობით მოხიბლულები თავს
მაწონებდნენ, ერთმანეთს კი უბღვერდნენ, რადგან თითო-
ეულ მათგანს მეორე თავის მეტოქედ მიაჩნდა. რაკი ეს
ვიგრძენი, ჩემი გმირობის ამბავი გავაბუქე და გავაბუქე.

— აბა, ერთი ჩვენც მოგვიყევი, შენს გამოგონილ დათ-
ვზე როგორ ინადირე, — სთხოვეს მოხუცებმა, რა ენაღ-
ვლებოდათ, მაქითათის ენა არ ეღლებოდა და მათ ყურე-

ბი. ჯერჯერობით საქმეც არაფერი ჰქონდათ. სტუმრები
ეროვნული
ბიბლიოთეკა
არსად ჩანდნენ.

— ეჰ, მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და კარგად აღარც მახსოვს როგორ მოვყევი დათვის მოკვლის ამბავი. მაშინ უფრო ენაწყლიანი გახლდით. ტყუილსაც რიგიანად და დამაჯერებლად ვყვებოდი, ახლა კი ასეთი რამეების გამოგონება საღლა შემიძლია! ცხოვრების დაღმართს დავადექი უკვე, — თავი მოისაწყლა მაქითათიმ, მაგრამ მოხუცებმა კვლავ აიძულეს იგი, თხრობა განეგრძო.

— კარგი, იყოს ნება თქვენი. როგორც შევძლებ, ისე გიამბობთ. ოღონდ არ დამძრახოთ. მაშინ ქალები მისმენდნენ და ნადირობისა რა გაეგებოდათ... ჰოდა, ერთხელ ავიყოლიე სამი ამხანაგი და ტყიან მთაზე სანადიროდ წავედი. ერთი უკან დაბრუნდა, ხოლო სამნი სამი დღე ტყრანებში ვნადირობდით. მრავლად დავხოცეთ გარეული ღორი, ტურა, მგელი და ფოცხვერი. ირმებსაც დავაყრევინეთ ბორჩხალა რქები. მეოთხე დღეს ნანადირევის ნაწილი მწყემსებთან დავტოვეთ, ხოლო რასაც მოვერიეთ, ავიკიდეთ და სოფლისაკენ დავეშვით. აფხაზეთში ერთი მთა არის, სამყაროს მფლობელის სახელი ჰქვია. ამ მთის ძირას, ხეობაში რომ ჩავედით და წყაროსთან დავისვენეთ, უკვე სამხრობის დრო იყო.

მე მინდოდა მალე წავსულიყავით იქიდან, მაგრამ ერთი ამხანაგი შემედავა:

— შენ, ძმაო, მაგარი მუხლი და ჯან-ღონე გაქვს. ქვეყნის კიდეებზე რომ იარო, არ დაიღლები. აბა, ერთი ჩვენცა გვკითხე, ფეხებს ძლივსღა დავათრევთ. დავისვენოთ რიგიანად, მუხლიდან ქარი ამოვუშვათ, ღვთის მოცემული წყა-

ლი აქვე გვაქვს, გული გავიგრილოთ და მერე დავადგეთ
გზას. სოფელში საღამოზე მაინც ჩავალთო.

მან ნადირის ტყავები წყაროსთან მიყარა, მუჯირა მი-
აგდო, თოფი კლდეზე მიაყუდა, მოლზე გაიშოტა და ხე-
ლები თავქვეშ მუთაქასავით ამოიდო.

შევხედე და არ მესიამოვნა მისი დაძაბუნება. მონადი-
რე ასე მალე არ უნდა იღლებოდეს. მეორეს შევხედე და
ისიც მოღვენთილიყო. სიმართლე რომ ვთქვა, ეს საცოდავი
მონადირენი შემებრალნენ.

— კარგი, დაისვენეთ, რაკი მეტი არ შეგიძლიათ, —
ჩავილაპარაკე ჩემთვის, ტვირთი მიწაზე დავაგდე, თოფი
ხეზე მივაყუდე და მეც მივწექი.

როგორც მახსოვს, ძალიან ლამაზი ადგილი იყო. რძე-
სავით აქაფებული მდინარე მაღალ კბოდეთა შორის თავა-
წყვეტილი მოშხუოდა და ტალღებით რიყის ქვებს პირს
ულესავდა. კბოდეთა იქით მთის ლამაზი ფერდობი მოჩან-
და. ზღაპრულ ხალიჩას ჰგავდა ის ადგილი. მარჯვნივ ათას-
წლოვანი ფიჭვების უღრანი ტყე მოჩანდა. ისეთი ჩრდილი
ეფინა მათ ქვეშ, კაცი რომ ტყეში შესულიყო, იფიქრებდა
აქ მარადიული ღამეაო. მარცხნივ საძოვრები ფირუზისა
და ზურმუხტისფრად ბრწყინავდნენ. ცხვრის ფარები
ღრუბლებივით შეფენოდნენ ფერდობებს; სადღაც სალამუ-
რი კვნესოდა, სადღაც მწყემსის ძაღლი ყეფდა.

მე მარტო ადამიანის კი არა, ბუნების სილამაზეც მიყ-
ვარს. იმ მთების ცქერით გატაცებულს საკუთარი თავიც
დამავიწყდა. უცებ თოფის ქუხილმა გამომაფხიზლა.

— გზა გადაუჭერით, გზა, თორემ გაიქცევა! — ყვი-
როდა ვიღაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოტა ხნის შემდეგ ისევ იქუხა თოფმა.

ვხედავ, იმ ადგილზე, საიდანაც ყვირილი მომესმა, კვამლის ღრუბელი ავარდა. ძაღლებიც იქით გაიჭრნენ. უცებ წყაროს მახლობლად უცნაური ლაწალუწი გაისმა. ახლა აქეთ მოვიხედე და ოი, საკვირველებავ! ვეებერთელა დათვს საბრალო კრავი პირით უჭირავს და ისეთი ბღღვინვით გამორბის, ლეწავს ყველაფერს. უცებ დათვმა მხარი იცვალა და ჩემკენ გამოეშურა.

ქალიშვილებთან ამას რომ ვყვებოდი, — ჩაურთო მაქითათიმ, — კაკიანი დამბაჩა ვიძვრე და ისევ ქამარში გავიჩარე, თავი მოვიწონე, შემომხედეთ, რა იარაღის პატრონი ვარ-მეთქი, თითქოს დამბაჩას აქამდე ვერ ამჩნევდნენ.

ჰოდა, ისევ გავაგრძელე თხრობა.

— ვისაც დაჭრილი დათვი არ უნახავს, ძნელად წარმოიდგენს იმ დღეს, რაც გადამხდა. წამოვიდა დათვი ჩემკენ, მარა რა წამოვიდა! თვალები მუგუზლებივით აენთო, ხახა დააღო და ღრიალი მეცხრე ცამდე ააწვდინა... დათვი რაღაც საშინელებას ჰგავდა, მაგრამ დღემდე ვფიქრობ და ვერ მომიგონებია, რას!

მხდალი ადამიანი სიკვდილს რომ თვალებში შეხედავს, მაშინვე წახდება, თავს ბედისწერას მიანდობს, რაც მომივა, მომივაო. გულადი ადამიანი კი, პირიქით, მაშინ უფრო გამამაცდება და სიკვდილს პირისპირ შეებმება, თუნდაც ცარიელი ხელებით. მეც იმ დათვის დანახვისას გამარჯვების იმედი არ დავკარგე, მთელი ჭკუა და ძალა მოვიკრიბე, გავმაგრდი და ისე დავუხვდი. რომ დავბნეულიყავი, ლუკმა-ლუკმა დამგლეჯდა. მაშინდელი თოფი ახლანდელს კი არა ჰგავდა, მის სავაზნეში ხუთი ვაზნა კი არ ჩადიოდა,

ლულიდან ვტენიდით შიგ თოფისწამალსა და ტყვიას, ვტენიდით ზუმბით. ერთხელ რომ ისროდი, ნახევარი საათი მაინც უნდოდა, მეორედ რომ გაგეტენა. ერთი კი ვესროლე დათვს, ეგ იყო და ეგ! დაჭრილი დათვი მე ხომ არ მომიცდიდა: აბა, მეორედ გატენე, მე აგერ დავდგები და მესროლეო. ისე ბდღვინავდა, ქვეყანას გადაბრუნებით ემუქრებოდა და მე დამინდობდა? ერთ საჟენზე რომ მომიახლოვდა, უკანა თათებზე დადგა, რათა უფრო მოხერხებულად მცემოდა და ჩემ შესაშინებლად ერთი კიდევ დაიღრიალა.

ამას რომ ვყვებოდი, მახსოვს, ქალიშვილებს გადავხედე, აბა ჩემი ნაამბობი რა შთაბეჭდილებას ახდენს-მეთქი. ქალიშვილები სუნთქვაშეკრულნი მისმენდნენ; მოუთმენლად ელოდნენ, კაცისა და მხეცის ჭიდილი რითი დამთავრდებოდა. ეს რომ შევატყვე, ჩვენი ბრძოლის ამბავი უფრო გავაზვიადე. სიტყვებში მეტი ცეცხლი დავანთე, ხმა განგებ ავაკანკალე. ვითომდა ახლაც რომ მაგონდება ის დღე, სიმშვიდე მერღვევა-მეთქი.

ჰოდა, გადმოხტა თუ არა დათვი ჩემკენ, უმალვე გვერდზე ვისკუპე. დათვმა ვერ მოზომა თავისი ნახტომი, ვარაუდმა უმტყუნა, დაეცა და ფერდობზე დაგორდა. მაგრამ უმალვე წამოხტა და კვლავ ჩემკენ წამოვიდა. უცებ მოვისაზრე, რომ ხერხით ვეღარ მოვატყუებდი. მეტი რა გზა იყო, ერთმანეთს პირისპირ უნდა შევბმოდით.

მორთან გავჩნდი და ცარიელ თოფს ხელი დავავლე. დათვს მოახლოვებისთანავე თოფი და ჩემი მკლავი ერთად ჩავჩარე პირში. ახლა ყბების არც მოკუმვა შეეძლო და არც გაშლა. გაჯმაჯურდა, დაიწყო თავის ქნევა, მაგრამ ვერ შემისუსტა მკლავი. უცებ თათი მომიქნია და წამაქ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცი. წამაქცია და მომინდომა გათელვა, მაგრამ ვერც ახლა დამაბნია შიშმა. ცალი ხელით ქარქაშიდან ბასრი ხანჯალი ამოვაძვრე და მუცელში დავუტრიალე მხეცს. ერთი კიდევ გაიბრძოლა საწყალმა, წელები გადმოყარა, უკანასკნელად ჩაიბურდღუნა და ფერდობში დაგორდა. სხვათა შორის, ვაკეზე რომ გაჩერდა, ერთი კიდევ გამოიხედა და თათები ისე გამომიშვირა, თითქოს მათხოვარი მოწყალებას მთხოვდა. შემეცოდა, მაგრამ რომ არ მომეკლა, მაშინ ხომ მე ჩავვარდებოდი მის დღეში?

— მსაუთა აჩბას სასახლის იატაკზე, აი, იმ დათვის ტყავია გაფენილი, — დავუმატე ბოლოს, ჩემს მონათხრობს უფრო დამაჯერებელს გავხდი-მეთქი.

— ის დათვი ხომ შენმა ბიძაშვილმა იაქუფმა მოკლა? სხვისი სახელი რატომ მოიპარე? — შენიშნა მაჰთიმ.

— მე არავის სახელი არ მომიპარავს, სხვისი ამბავი ჩემად გავასაღე, ეგ იყო და ეგ. იმას ხომ არ ვამბობ, ის დათვი ნამდვილად მე მოვკალი-მეთქი? — თავი იმართლა მთხრობელმა. — ასეთი ამბავი ხომ შეიძლება მეც გადამხდენოდა? შეიძლება. მაშასადამე, მოყოლის უფლებაც მქონდა, მაგრამ ჯანდაბას ის დათვი, მე გიამბობთ, რაც შემდეგ მოხდა. თხრობა რომ დავამთავრე, ყველამ ისე შემომხედა, თითქოს მათ წინაშე უბრალო კაცი კი არა, დევი იდგა.

ერთი სიტყვით, იმ ნადირობის ამბის მოყოლით ყველას გული ერთად მოვინადირე. მეტი რაღა მინდოდა. ვხარობდი, საქმე უკვე გაჩარხული მეგონა, მაგრამ როცა კაცს ბედი არა გაქვს, ძაღლიც შენ გადაგემტერება და კაციც.

ჩემს მსმენელებს ჯერ კიდევ გაკვირვება ეხატათ სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე, როცა რაშიდის კარ-მიდამოს მახლობლად უჩვეულო ხმაური ატყდა.

— რა იყო, რა მოხდა? — შეშფოთდნენ ქალიშვილები და ჭიშკრისკენ გაიქცნენ.

მეც, ჩემდა საუბედუროდ, ცნობისმოყვარე ვარ, ვიფიქრე, გავიგებ, რა ამბავია-მეთქი და მასპინძლებს ავედევნე უკან.

— ჭიშკარი ჩარაზეთ, ცოფიანი ძაღლი მორბის, არ შეუშვათ ეზოში, არ შეუშვათ! — იძახდა ერთი ხელჯოხიანი კაცი.

ვხედავ, ვიღაც კაცი ღობეზე გადმოხტა და ჩვენკენ გამოეშურა. უკან ის ძაღლი მოსდევს, ამ სოფელში შემოსვლისას რომ დავლანდე. მორბის ძაღლი და ხელჯოხიანი კაცი ყველაფერს ესვრის, რაც კი ხელთ მოხვდება.

სიმართლე გითხრათ, მას შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა, მაგრამ იმ ოხერტიალ ძაღლს ახლაც ვერ ვივიწყებ, სულ თვალწინ მიდგას.

— ალბათ ძალიან დაგაფრთხო და იმიტომ, — ჩაიცინეს მოხუცებმა.

— გარდასული ამბავია, დასაფიცი რა არის, დამაფრთხო და მეტიც მიქნა, — განაგრძო მაქითათიმ, — კუპრივით შავი იყო, ბანჯგვლიანი. ხარისტოლა იქნებოდა, დრუნჩი დაეღრიჯა, ენა გადმოეგდო, თვალები გადმოეკარკლა.

ერთ ხანს რაშიდის ეზოზე შემოვლებული მაღალი ღობის გასწვრივ ირბინა, მერე ზედ გადმოევლო და ეზოში დაიწყო წრიალი. იმაზე საშინელი ქვეყანაზე არაფერი დამინახავს, არც სიზმრად მომლანდებია, არც ვინმესგან გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიგონია. აი, ახლაც რომ მაგონდება, ასე მგონია, ზურგზე ჭიანჭველები დამესიენ-მეთქი.

— ცოფიანი ძაღლი, ცოფიანი ძაღლი! გვიშველეთ! — აწიალდნენ რაშიდის ქალიშვილები. უფროსი გაიქცა და სახლში შეიმალა. ორი დანარჩენი ერთმანეთს მიეკრა. ნაზი უფრო მამაცი გამოდგა, არ დაიბნა, მაშინვე მე გადმომხედა და დამიყვირა:

— ჰეი, ვაჟკაცო, რას უყურებ! ტყუილა ხომ არ დაათრევ მაგ დამბაჩას, ესროლე მალე, ესროლე!

ნაზის ხმა კი გავიგონე, მაგრამ ვაი იმ გაგონებას. ალბათ მიწის ფერი მედო სახეზე. შეშინებულს გული ამოვარდნაზე მქონდა. სხვისთვის როგორ უნდა მეშველა, როცა თვითონ რაშიდის ქალიშვილებს ვეფარებოდი და ვცახცახებდი!

— ესროლე, ესროლე, რაღას უყურებ, შე ოჩანო! — კვლავ მიყვიროდა ნაზი. ლამის თვითონ გამომტაცა იარაღი.

ეჰ, რაც იქნება, იქნება-მეთქი, გავიფიქრე და ვიძვრე კაჟიანი დამბაჩა. ლულა ცოფიან ძაღლს მივუშვირე. დავხუჭე თვალები და ჩახმახი ცერით ფეხზე შევაყენე.

— გამოჰკარი სასხლეტს ხელი, გამოჰკარი! — ჩამკიცის ყურში ნაზი.

გავახილე თვალი და რას ვხედავ, ცოფიანი ძაღლი ათიოდე ნაბიჯითაა ჩემგან დაშორებული. ზიზას საღღაც გრძელი ჯოხი უშოვია, წივის და თან ამ ჯოხს იქნევს, რომ ძაღლი ახლოს არ მიუშვას თავის დასთან.

— გაიწიეთ იქით, გაიწიეთ! — დავიყვირე განწირულის ხმით, მინდოდა კი ამაყად დამეყვირა. დამბაჩიანი ხე-

ლი ძაღლისაკენ გავიშვირე, თავი გვერდზე მივაბრუნე, თვალები კვლავ დავხუჭე და სასხლეტს სალოკი თითი გამოვკარი. ეს იყო და ეს. დამბაჩამ ერთი კი ჩაახველა „ჩახო“ და გამივარდა ხელიდან. ირგვლივ ისეთი კვამლი დადგა, თვალი რომ გავახილე, ვერაფერი დავინახე. გული მომეცა, შვებით ამოვისუნთქე. მოლზე დაგდებული დამბაჩის აღება მოვინდომე, დავწვდი და იმისთანა თქვენს მტერს, მე რომ საქმე დამემართა. იმ ოხერტიალმა, ბებერი კაცივით ხველა და ბათქაბუთქი სწორედ მაშინ ატეხა. მაშინვე გადავაგდე.

საქმე ის იყო, რომ ეს დამბაჩა ხელით იტენებოდა. წინა დღეებში, როცა შიგ თოფისწამალს ვყრიდი, შევნიშნე, რომ ლულა ძალიან გაცვეთილი და გათხელებული ჰქონდა. ჩახმახის ერთი დაცემინების შემდეგ ლულის ახლო ნაწილი უმალვე ცხელდებოდა და თოფის წამალი ნაწილ-ნაწილ ფეთქდებოდა.

— დამბაჩა სკდება, უფრთხილდით, უფრთხილდით! დაწექით, დაწექით ჩქარა! — ვიყვირე კი არა, ვიღრიალე და გავიქეცი. მინდოდა ჭას ამოვფარებოდი და მივუახლოვდი თუ არა, ძირს გავიშოტე. თურმე იმ ადგილზე ბატებისათვის წყალს ასხამდნენ. პატარა ორმოში გუბე იდგა. სწორედ იმ გუბეში ჩავწოლილვარ. დავსველდი და ამოვითათხე. წიწილასავით გაწუწული და გასაცოდავებული რომ დამინახეს რაშიდის ქალიშვილებმა, ეზოში მარტო მიმატოვეს და გაიქცნენ. როგორც იქნა წამოვდექი, მაგრამ ვაი იმ წამოდგომას. მეგონა, აი, აგერ მომხვდება ტყვია და აი აგერ-მეთქი. მადლობა ალაჰს, გადავრჩი!

ხელები ბალახზე შევიწმინდე, ჩოხა-ახალუხი დავიფერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხე, ჩემი შემარცხვენელი დამბაჩა ავიღე, კვლავ ქამარში გავიჩარე და აივანზე ფრთხილად ავედი. თან აქეთ-იქით ვიხედებოდი, ველოდი, ვინმე წყალსა და საპონს გამომიტანს, ხელ-პირს დამაბანინებს-მეთქი. არ მოგეცეს გასაჭირი, არავინ გამომხედა.

ცოტა ხანს აივანზე ბოლთას ვცემდი, მერე ჩამოვჯექი, ბოლოს მოთმინება დავკარგე და კარზე დავაკაკუნე.

— რა გინდა, გმირთა გმირო? — გამომძახა ზიზამ დაბეცინავად.

ენა ვერ დავძარი, რა უნდა მეპასუხა?

უცებ კარი ღრიჭოდ გაიღო და უმალვე დაიხურა, ჩემ წინ, ფეხებთან რაღაცამ ბრახანი მოადინა. დავიხედე, ჩემი მათრახი იყო. ვიღაცამ გადმომიგდო.

აი, ეს იყო იმათი საბოლოო პასუხი. გულჩამწყდარმა ავიღე მათრახი, ბანდალ-ბანდალით ჩამოვედი, ცხენთან მივედი, მოსართავები მოვუჭირე, მოვახტი და უკანასკნელად შევხედე იმ მდიდარი სახლის აივანს. მხოლოდ შავი კატა იჯდა მოაჯირზე და პირს ილოკავდა. ეს იყო და ეს.

კაცს, როცა ბედი არა გაქვს, კატაც არაფრად ჩაგაგდებს, ასეა, ძმაო, ასე.

— მშვიდობით! — მივაძახე ფისუნიას და ცხენი ჭიშკრისკენ შემოვაბრუნე.

კატამ ირიბად გამომხედა, თვალები ააფახულა და ულვაშები აათამაშა.

რაშიდის კარ-მიდამოს ასიოდე საჟენით რომ გამოვცილდი, გულმა არ მომითმინა და ერთხელ კიდევ გავიხედე. უზანგებზე შემდგარმა ოთხივე ქალიშვილს მოვკარი თვა-

ლი. აივანზე იდგნენ, ჩემკენ იხედებოდნენ და იცინოდნენ. არა, მათი სიცილის ხმა არ გამიგონია, ვიგრძენი.

„ეჰ, რატომ არ დაიქცა ეს დღე?“ — ვინატრე მაშინ, მაგრამ წამხდარ საქმეს რაღას ვუშველიდი. რაც მოსახდენი იყო, მოხდა, მორჩა და გათავდა.

იმ დღის შემდეგ ჩემს სახლსა და სოფელში ჩავიკეტე. აღარსად დავდიოდი, საცოლე აღარ მიძებნია, კიკოსავით ამიტომაც დავრჩი.

მაქითათიმ სიტყვა დაამთავრა და თავი ჩაქინდრა.

— ეჰ, ჩემო მეზობელო, შენ მაგ ამბებს ხუმრობით ყვები, მაგრამ კაცი რომ დაუკვირდეს, სატირალია. საცოდავი ხარ, საცოდავი,—უთხრა თავჩაქინდრულ კაცს მოხუცმა ზურაბმა.

ყველა რაღაცამ დააფიქრა. ისეთი სიჩუმე ჩამოდგა, ფხიზელი ყურის პატრონი იმასაც გაიგონებდა, ხის ჭია ბეჭერი ცაცხვის ქერქს რომ ღრღნიდა.

ეს სიჩუმე მალე მანქანის გუგუნმა დაარღვია.

— მოდიან, მოდიან! — დაიძახეს ვიღაცეებმა და შეკრებილი ხალხი ახმაურდა.

მაქითათიმ თავი აიღო და გორაკზე ამომავალი მსუბუქი მანქანა დაინახა. მოგუგუნებდა იგი და მტვრის კუდს ტოვებდა.

მანქანა სასოფლო საბჭოს შენობის წინ გაჩერდა. ხალხი სტუმრებს მიეგება. მანქანიდან ორი კაცი და ერთი ქალი გადმოვიდა.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! — გაისმოდა ყოველი მხრიდან.

— სალამი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— იცოცხლეთ, გაიხარეთ!

ტანმაღალი ქალი გულითადი ღიმილით ესალმებოდა ყველას და მოწიწებით უკრავდა თავს. მაქითათიმ შეხედა, თითქოს ეცნო, მაგრამ ვერ გაიხსენა უცებ, სად და როდის ენახა იგი.

სტუმრები თავმჯდომარესთან შევიდნენ. ხალხი უკვე მოგროვილიყო და კრების დაწყება გადაწყვიტეს.

რაკი სიცხე ყველაფერს წვავდა, მოილაპარაკეს, მაგიდა ცაცხვის ქვეშ დავდგათ და ხალხსაც იქვე შევუყაროთ თავიო. ცოტა ხნის შემდეგ ყველა იქ მოგროვდა.

კრება სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ გახსნა.

დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი: სოფელ აჩირხაში საკოლმეურნეო არტელის ჩამოყალიბება.

ამ საკითხზე რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ილაპარაკა.

თავისი სიტყვის დასასრულს მან აღნიშნა, რომ ხალხი იწყებს კოლექტიურ შრომას. ეს არის ახალი ცხოვრების დასაწყისი, ისეთი ცხოვრების, რომელზეც ჩვენი მამა-პაპანი მთელი სიცოცხლე ოცნებობდნენ. თქვენთვის ჯერჯერობით, ალბათ, მრავალი რამ გაურკვეველია. თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საკოლმეურნეო არტელი, ამის თაობაზე სოხუმიდან ჩამოსული ამხანაგი გელაპარაკებათ.

მან გვერდით მდგომ ტანმაღალ ქალზე მიათითა.

— ილაპარაკოს, ილაპარაკოს, — დაიძახა ხალხმა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მაქითათი იმას ფიქრობდა, ეს ლამაზი ქალი ნეტავ სად მინახავსო.

„სიბერე რომ მომეძალა, ალბათ მახსოვრობამ მიმტყუნა და ეს იმის ბრალიაო“, — დაასკვნა მან ბოლოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— სიტყვა ეძლევა სახელგანთქმულ აგრონომს ტყუაბ-
ბა გუპხანაშს, — გამოაცხადა თავმჯდომარემ.

ხალხმა ტაში დაუკრა.

მხოლოდ მაქითათის გაუხევდა ხელები. გაკვირვებისა-
გან პირი დააღო და კარგა ხანს ასევე პირღია დარჩა.

რაც საკუთარი ყურებით გაიგონა, არა სჯეროდა, მაგ-
რამ მისდა სავალალოდ, ეს სიმართლე იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამხუხი

(ზღაპარი)

იყო ერთი მონადირე. სახელად ირმის შვილი ჯამხუხი ერქვა. იგი ძალზე ღონიერი და მოხერხებული ჭაბუკი იყო. ქვეყნის რომელ კუთხეში გინდათ—აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით თუ სამხრეთით, ყველგან გაიგონებდით მის ქება-დიდებას. დიდი და პატარა, მოხუცი და ახალგაზრდა მის საგმირო საქმეებს ყვებოდა. ისეთი ლამაზი და მოხდენილი იყო, ხალხი ნატრობდა, ნეტავ ჯამხუხის მსგავსი ვაჟი გაგვიჩნდესო.

როგორც ვთქვით, ირმის შვილს ნადირობა უყვარდა. ზოგჯერ ნადირობაში ისე გაერთობოდა, შინ ორ-სამ თვეს არ ბრუნდებოდა.

ერთხელ ირმის შვილი ჯამხუხი ლამაზად გამოეწყო სანადირო ტანსაცმელში, შემოიკრიბა ამხანაგები და შორეულ მთებში გაემგზავრა.

შორი გზა გაიარეს. ხიფათიც ბევრი გადახდათ, მაგრამ არაფერს უშინდებოდნენ. სამაგიეროდ, ნადირობის ღმერთის წყალობით მრავალზე მრავალი ნადირი დახოცეს. დილის ნანადირევს გაიყოფდნენ თუ არა, ხეზე ჩამოჰკიდებდნენ. წინასწარ ნატყვიარ ადგილებს მოაჭრიდნენ, ხორცი არ გაფუჭდესო. მერე ბეწვს ატრუსავდნენ, ნადირმა ხორცი არ მოიტაცოსო. და ბოლოს, იქვე დატოვებდნენ თავიანთ ნიშანს — აკუხს,[1] მტაცებელი ნადირი და ჩიტები იმ არემარეს რომ არ გაჭაჭანებულიყვნენ.

დაღამებამდე დაეხეტებოდნენ. მთელი დღის ნადავლს საღამოს შეაგროვებდნენ, გაატყავებდნენ და გამოშიგნავდნენ. ქონსა და ხორცს დაამარილებდნენ, მერე მაღლა დაჰკიდებდნენ ხეზე და ქვემოდან ცეცხლს შეუნთებდნენ. ასე შაშხავდნენ ხორცს.

მეგობრებმა ნადირობით რომ გული იჯერეს, ნანადირევის ტყავებში გახვიეს ყველაფერი, ტვირთი შეკრეს და დილაადრიან გასწიეს შინისაკენ.

სადილობის დრო ახლოვდებოდა. მონადირეებმა ციცაბო კლდეები უკან მოიტოვეს. ხანგრძლივი ნადირობითა და მძიმე ტვირთით დაქანცულნი უხმოდ მიაბიჯებდნენ.

ქვემოთ წყარო მოჩუხჩუხებდა.

უცებ ხის ტოტმა გაიტკაცუნა. მიიხედ-მოიხედეს და რას ხედავენ: იქვე ახლოს, შქერის ბუჩქებიდან რუხ ირემს

---

[1] ეს სიტყვა არ ითარგმნება. აფხაზების რწმენით, როცა ნადირობის ღმერთი რაიმეს მოგაპოვებინებს, სამაგიეროდ სანადირო აღჭურვილობიდან უნდა დაუტოვო ტყვია ან მარილი და ა. შ., რათა ნადირობის ღმერთის გული მოიგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოუყვია თავი. წინ მიმავალმა მონადირემ ბარგი არც კი მოიხსნა, მშვილდი მოზიდა და ფოლადისთავიანი ისარი ირემს დაუმიზნა.

— მოიცა, არ ესროლო! — დაუყვირა ჯამხუხმა ამხანაგს. — ვერ ხედავ, რა კეთილი, ადამიანური თვალებით შემოგვცქერის?

ირემი მართლაც უძრავად იდგა, მხოლოდ კისერი წაეგრძელებინა და შეშფოთებული უმზერდა მისკენ მიმავალ მონადირეებს, შიშისაგან სულ კანკალებდა. შორიდან არაფერი ჩანდა, მაგრამ მონადირეები მიხვდნენ, რომ მას სიცოცხლეზე მნიშვნელოვანი და ძვირფასი რამ აქვავებდა ადგილზე.

მონადირემ მშვილდი ძირს დაუშვა. ჯამხუხი დაწინაურდა და ირმისკენ წავიდა. დიდ მუხას ამოფარებული ნელ-ნელა უახლოვდებოდა ირემს. მერე ფრთხილად შემოუარა ხეს და აი, საოცრება! ირემი არც დაიძრა ადგილიდან. თითქოს ოთხივე ფეხით მიწაში იყო ჩაფლული. ჯამხუხის დანახვაზე ოდნავ შეკრთა, მაგრამ გაქცევა აზრადაც არ მოსვლია. ფურ-ირემს ორი უმწეო ნუკრი ამოფარებოდა.

ჯამხუხს ირმები განსაკუთრებით უყვარდა, მით უმეტეს დედას ნუკრიც თუ ახლდა, გული სულ მათკენ უწევდა. ისე მიაცქერდებოდა, თითქოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდაო. ალბათ, თვითონ რომ ობოლი იყო, ამიტომ შენატროდა ირმების ოჯახს.

ჯამხუხი ახლაც დიდხანს იდგა გაოგნებული, შორს გაიტაცეს ფიქრებმა, ვერც კი გაიგო მეგობრების წასვლა.

ამბობდნენ, ჯამხუხი ბავშვობისას ირმის ჯოგში ბოხვადრილაო. ერთ წელზე მეტხანს თურმე ირმის რძით საზრდოობდა. ეს ამბავი თვით ჯამხუხსაც ჰქონდა ყურმოკრული და თითქოს აგონდებოდა კიდეც მსგავსი რამ. მის ველურობას ისიც მოწმობდა, რომ სხეული რუხი ფერის ხშირი ბეწვით ჰქონდა დაფარული. ჯამხუხს რცხვენოდა და მუდამ ცდილობდა, არავის ენახა შიშველი.

ახლა, როცა ირემს და მის ნუკრებს შეხედა, ჯამხუხს უნებლიეთ ბავშვობა მოაგონდა. სიზმარივით ახსოვდა, პატარა ბიჭუნა ირმებს შორის რომ იდგა და ძუძუს დაეძებდა. ტყეში თუ რამე გაფაჩუნდებოდა და დაფრთხებოდნენ ირმები და ნუკრები, პატარა ჯამხუხიც ფეხდაფეხ მისდევდა მათ...

დედა ირემი ჯამხუხს უკვე თვალს უსწორებდა, აღარაფრის ეშინოდა. მიხვდა, რომ ეს მისი მოკეთე იყო, არც მის შვილებს დაუშავებდა რასმეს. გულდამშვიდებულმა ფურ-ირემმა განაგრძო ფოთლების ღეჭვა, მერე დინჯად დაიძრა ადგილიდან, ნაბიჯს თანდათან უმატა, ნუკრებიც კუნტრუშით დაედევნენ დედას.

ირმის შვილი ჯამხუხი დიდხანს გაჰყურებდა ბედნიერ დედა-შვილს, არ იცოდა, რა ექნა — მათ გაჰყოლოდა, თუ დაბრუნებულიყო. ბოლოს, თითქოს რაღაც გადაწყვიტაო, ამხანაგებს წამოეწია.

— ნანადირევი შინ თქვენ წაიღეთ, მე კი ცოტას კიდევ წავინადირებ, — უთხრა ჯამხუხმა მეგობრებს. მობრუნდა და იმ გზას დაადგა, საითკენაც რამდენიმე წუთის წინ ირემი და მისი ნუკრები წავიდნენ. ჯამხუხს უნდოდა ერთხელ კიდევ შეეხედა ირმის ოჯახისათვის, ერთხელაც მო-

ეგონებინა ბავშვობა და ამ ტკბილ მოგონებებთან მარ-
ტოდმარტო დარჩენილიყო.

ჯამხუხის მეგობრებმა წამოიკიდეს ტვირთი და მდინა-
რის გაყოლებით გასწიეს შინისაკენ. ჯამხუხი კი ულ-
რან ტყეს შეერია და შეუმჩნევლად დაშორდა თანამგზავ-
რებს.

ბევრი იარა ჯამხუხმა, მთელი დღე-ღამე იარა, მაგრამ
ირმის კვალს ვერსად მიაგნო.

●

შუაღამე იქნებოდა. ირმის შვილი ჯამხუხი დაღლილ-
დაქანცული შევიდა დაბურულ მუხნარში. იფიქრა, ცოტას
დავისვენებ და მერე ამხანაგებთან დავბრუნდებიო.
მშვილდ-ისარი გვერდით დაიდო, საჭიროებისთანავე ხელთ
რომ ჰქონოდა. ნაბადი ძირს გაშალა, წამოწვა, თავი მუ-
ხას მიადო და იმწამსვე მკვდარივით ჩაეძინა. ჩაეძინა და
ასეთი სიზმარი ნახა:

...უამრავი ხალხი შეგროვილა. რაღაც დიდი ზეიმი უნ-
და იყოს. მოშორებით წრე შეუკრავთ. ტაშს უკრავენ, მღე-
რიან. წრეში ორი ყმაწვილი ცეკვავს.

საცაა ჯირითი დაიწყება, მხედრების გარშემო ხალ-
ხი ბუზივით ირევა. მოჯირითეთა შორის დგას ცხენზე ამ-
ხედრებული ჯამხუხი.

ის მოხდენილად ზის ცხენზე. აბრეშუმის ახალუხი-
დან თეთრი საყელო უელავს. რუხი ფერის ჩოხა აცვია.
შვენის ვერცხლით მოჭედილი ქამარ-ხანჯალი.

ჯირითიც დაიწყო. ჯამხუხმა ცხენი შეათამაშა, ადგა, მოსხლიტა ადგილიდან, მერე მაგრად მოჭიმა ლაგამი. ცხენი ყალყზე შედგა. ჯამხუხმა დასჭყივლა, წინ გადაიზნიქა, ცხენი შურდულივით გავარდა ჩამწკრივებულ ხალხს შორის. თხუთმეტიოდე ნახტომი და ვაჟკაცის ძლიერმა ხელმა შეაჩერა ბედაური. ბედაურმა ფლოქვით მოხნა მიწა, ბდღვირი ადინა იქაურობას.

აფხაზეთში კარგ მოჯირითედ ის ითვლება, ვისი ცხენიც მიწას ღრმა ნაკვალევს დაამჩნევს. ჯამხუხი თავგამოდებით ასრულებს ურთულეს ილეთებს. მისი ჩოხა-ახალუხის კალთებს არც ერთი ნაოჭი არ ატყვია. ისე მსუბუქად ზის ცხენზე, თითქოს უნაგირს შერწყმიაო.

ის იყო, ჯამხუხს მესამედ უნდა გაეჭენებინა ცხენი, რომ უცებ მაყურებლებმა შეთქმულებივით ერთად შემოჰკრეს ტაში. მოხუცებმაც ვეღარ შეიკავეს თავი და მიაძახეს: „გმირო შევარდენო! დღეგრძელი იყავ!“

ჯამხუხი განზე გადგა. ახლა მეგობარს დაუთმო ასპარეზი, ხალხი კი მაინც მის სახელს გაიძახოდა.

ამ დროს ირმის შვილთან ქალიშვილი მიიჭრა. თავსაფარი მოიხსნა და მიაწოდა. ეს ატარჩეის[1] დაწყებას ნიშნავდა.

ქალიშვილს მოკრძალებით გაუწოდა ხელი ჯამხუხმა, თავსაფარი ჩამოართვა, შეხედა და ადგილზე გაქვავდა, სუნთქვა შეეკრა. აბა, რა მოუვიდოდა, ქალიშვილი მზესავით ანათებდა.

---

[1] შეჯიბრების სახეობაა, როდესაც თავსაფრის მფლობელ ცხენოსანს თავსაფრის წასართმევად მისდევს ყველა მოჯირითე.

ეს იყო მრა-კაპხა.

— რაღას უდგახარ! აბა, შენ იცი, ცხენოსნები გიახლოვდებიან, არ დაანებო თავსაფარი, — გააფრთხილა ქალიშვილმა ჯამხუხი.

და მართლაც, ცხენოსნებმა მოჰკრეს თუ არა თვალი მრა-კაპხას თავსაფარს, ელვის სისწრაფით დაედევნენ ჯამხუხს. ჯამხუხმა გაარღვია ხალხის ტალღა, ცხენოსნებს გაუსწრო და შურდულივით გავარდა ფართო მინდორზე. თავსაფრის წვერი კბილებით ეჭირა. გრძელ თავსაფარს ქარი მის ზურგს უკან აფრიალებდა. მდევრების მოახლოებას რომ იგრძნობდა, ან თუ ვინმე გზის გადაჭრას მოუნდომებდა, ჯამხუხი სხარტად შემოაბრუნებდა ხოლმე ცხენს.

დაიქანცნენ მდევრები. აგერ, ერთი კიდეც გადმოაგდო ცხენმა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლის და ფეხით მისდევს ჯამხუხს. მეორე ვერა და ვერ გადაახტა ჭიშკარს, რომელზეც ჯამხუხმა ჩიტივით გადაიქროლა. მდევარმა ტყუილუბრალოდ აწამა ცხენი. სხვა მოჯირითეები თანდათან ანელებდნენ სვლას და გახვითქულ ცხენებს სული რომ მოეთქვათ, ნელა მიჰყავდათ. ახლა ერთადერთი მხედარი მისდევდა ჯამხუხს. ნაბიჯით თუ რჩებოდა. საითკენაც გაუხვევდა ჯამხუხი, ისიც იქით მიჰყვებოდა.

ირმის შვილი მთელი ძალით ერეკება ცხენს, მდევარი ფეხდაფეხ მიჰყვება. ჯამხუხს ესმის ცხენის ფლოქვების ხმა.

— ჩემი ნუ გეშინია, ხელს არ შეგიშლი! — უცებ მოესმა ჯამხუხს ქალის ხმა. — რაც დედას უნდა შვილის საბედნიეროდ, მეც იმას გისურვებ. ძალიან მომწონს შენი

არჩევანი, კარგი ქალიშვილია. ღმერთმა ორივე გაბედნიეროთ!

— ნუთუ ქალია? — გაუკვირდა ჯამხუხს. უნდოდა კარგად შეეხედა. შემობრუნდა და რას ხედავს, მდევარი თურმე მისი აღმზრდელი ფურ-ირემი ყოფილა...

ხმელი ტოტების ტკაცუნმა გამოაღვიძა ჯამხუხი. შეშფოთებული წამოიჭრა, თვალები მოიფშვნიტა. თენდებოდა. მის წინ ვიღაცამ გაირბინა. გახედა. მოწმენდილი ცის ფონზე დამფრთხალი ირმის გავას მოჰკრა თვალი.

დიდი დათვის თანავარსკვლავედს შუაგულ ცამდე მიეღწია, შორს, დასავლეთით ფერდაკარგული მთვარე ეშვებოდა. ჯამხუხმა ნაბადი აიღო, დაბერტყა და მხრებზე მოისხა. მერე გადაიკიდა მშვილდ-ისარი და შინისაკენ წავიდა.

ჯამხუხს მთელი გზა სიზმარი უტრიალებდა თავში. ხშირად სმენია მრა-კაპხას სახელი. იგი თვალით არ ენახა, მაინც ძალიან მოსწონდა. დღეს კი სიზმარში ნათლად გამოეცხადა.

თუ აქამდე ჯამხუხის გულში სიყვარულის პატარა ნაპერწკალი ღვივოდა, ამიერიდან მოგიზგიზე ცოცონი აინთო.

იმ დღიდან ჯამხუხმა მოსვენება დაკარგა. აღარც ჭამდა, აღარც სვამდა. ძილი ხომ სულ გაუკრთა. იშვიათად თუ ჩასთვლემდა, მაშინაც მრა-კაპხა ესიზმრებოდა.

თვალსა და ხელს შუა შეიცვალა ირმის შვილი ჯამხუ-

ხი. ყველას ჩამოშორდა. მეგობრებსაც აღარ ეკარებოდა. ხალისი სულ დაკარგა, აღარც დიდ ზეიმებს ესწრებოდა, აღარც სამოგზაუროდ დადიოდა, ჯირითიც მიატოვა.

ჯამხუხის მეგობრები ყველაფერს ამჩნევდნენ, მაგრამ არ იცოდნენ, რა ეღონათ, რით დახმარებოდნენ. ჯამხუხი არავის უმხელდა თავის საიდუმლოს. დარდი დარდს ემატებოდა და გულზე ლოდივით აწვებოდა.

ერთხელ ალალბედზე გავიდა ჯამხუხი შინიდან. იფიქრა, გავივლი, იქნებ გული გადავაყოლოო. სად არ იხეტიალა. ხან ზღვის ნაპირს მიადგა, ხან მთაზე ავიდა, უდაბნოც გადაიარა. ასე დაეხეტებოდა დილიდან საღამომდე, სადაც დაუღამდებოდა, იქ ათენებდა. როცა დაიღლებოდა, დაანთებდა ცეცხლს, ხორცს შეწვავდა და შეექცეოდა. შეშას და ხორცს ადვილად შოულობდა. ნავახშმევს რომელიმე ხის ქვეშ მოიკალათებდა, ნაბადში გაეხვეოდა და დაიძინებდა. დილით ადრე გზას განაგრძობდა.

ასე ატარებდა დღეებს ირმის შვილი ჯამხუხი.

გავიდა ერთი წელი, ჯამხუხი კი ისევ დაეხეტებოდა. ერთხელ რომელიღაც მდინარეს მიადგა. ცოტა შეისვენა, მერე ნაპირ-ნაპირ გაჰყვა ბუჩქნარს. ბევრი იარა თუ ცოტა, წინ დიდი სოფელი გადაეშალა. ამ სოფელს მდინარე შუაზე ჰყოფდა. მდინარის ორივე მხარეს ქვისა და ხის სახლები იყო ჩამწკრივებული. აქა-იქ ფაცხებსაც დაინახავდით. მთის კალთებზე გაფანტული, მწვანეში ჩაფლული სახლები შორიდან ჩიტის ბუდეებს წააგავდნენ. ეზოებს მაღალი ყორე ჰქონდათ შემოვლებული. ეზოში კაკლისა და ვაშლის ხეები იყო.

ჯამხუხმა გაიფიქრა, აქ ალბათ მდიდარი ხალხი ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობსო, მაგრამ სოფელში რომ შევიდა, სახტად დარჩა. იქაურობას ადამიანის ხელი არ ეტყობოდა. ეზოებს ეკალ-ბარდი მოსდებოდა. სახლთან მისასვლელი ბილიკიც მთლად მობარდულიყო. სულიერის ხმა არსაიდან ისმოდა.

— ამომწყდარა სოფელი, — დაასკვნა ჯამხუხმა. — ნეტავი რა შეემთხვათ საწყლებს?

ჯამხუხმა გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გაეგო სოფლის დაღუპვის ამბავი.

ერთ ჭიშკარს მიადგა. მოსინჯა, მაგრად იყო ჩაკეტილი. ეზოში ხეებს შორის თვალი მოჰკრა ქვის სახლს. სახლის კარი ფიცრებით იყო აჭედილი. ეტყობოდა, ამ ეზოში რამდენიმე წელია ადამიანს ფეხი არ დაედგა. ჯამხუხმა სახლს შემოუარა და ქოხი შენიშნა. ქოხს დამპალი სახურავი ალაგ-ალაგ ჩამოცვენოდა. ზოგან გაჭვარტლული ლარტყები ეკიდა. შუა ეზოში იდგა დიდი ვაშლის ხე. წითლად ანათებდნენ მწიფე ვაშლები.

ირმის შვილი დიდი ვაი-ვაგლახით გადაძვრა ღობიდან ღობეზე, ეზოდან ეზოში და, როგორც იქნა, შუა სოფელში ვიწრო ბილიკი აღმოაჩინა. ბილიკი ქვის გალავანს გასდევდა. ჯამხუხი გაჰყვა მას და მიადგა დიდ სასახლეს. სასახლე სუროს დაეფარა. საკვამურიდან ბოლი ამოდიოდა. ჯამხუხმა ეზოში გადაიხედა. ეზო დაგვილი იყო, თითქოს მაღალმა გალავანმა' გადაუღობაო გზა ეკალ-ბარდსა და სარეველას. ჯამხუხი ეზოში შევიდა. მარცხნივ, გალავანთან ახლოს, ამობურცული ადგილები შენიშნა. „ალბათ, საფლავებიაო", — გაიფიქრა. შუა ეზოში დიდი, ტოტებგაშლილი კაკლის ხე იდგა, თითქმის მთელ ეზოს ჩრდილავდა. ხის ძირას სკამები იდგა.

ჯამხუხი გულდასმით ათვალიერებდა ეზოს. მერე ჭიშკარს მიადგა, ურდული გადასწია და ეზოში შევიდა.

— მასპინძელო! ჰეი, მასპინძელო! — დაიძახა ჯამხუხმა და სახლის კარს მიადგა.

ხმა არავინ გასცა. ეზოში მოზრდილი ნაგაზი იწვა და მზეზე თბებოდა. მან ნაძალადევად მოაბრუნა თავი. თვალი ოდნავ გაახილა, შეხედა შემოსულს და არც კი შეჰყეფა. ეტყობოდა, ამ უკაცრიელ ადგილას ყეფასაც გადაჩვეოდა.

ჯამხუხმა კარი შეაღო და ოთახში შევიდა. არავინ დაუხვდა. შემდეგ შევიდა მეორე, მესამე ოთახში, იქაც სიცარიელე იყო. ბოლოს სასახლის ერთ-ერთ დარბაზში მოხუცს წააწყდა. იგი ხის ტახტზე წამოწოლილიყო. ლეიბის მაგივრად ტყავები დაეგო.

— გამარჯობათ, — მიესალმა ჯამხუხი და მარჯვენა ხელი ასწია.

— გაგიმარჯოს, დად, — დახშული ხმით მიუგო მოხუცმა.

მოხუცს თავზე დიდი პირსახოცი ისე ჰქონდა შემოხვეული, თვალებიც აღარ უჩანდა.

— ვერ გიცანი, საიდანა ხარ? — მოხუცმა თვალებზე ჩამოფხატული პირსახოცი აიწია და ყრუდ ჩაახველა. — ჰაიტ, დასწყევლოს ღმერთმა, ალბათ ბოლოს მომიღებს ეს ხველა.

ოთახში საშინელი უწესრიგობა იყო. მიყრილ-მოყრილ ტაბურეტებსა და გრძელ სკამებზე ტანსაცმელი ეყარა. ტახტის ქვეშ სანაგვე ნიჩაბი და ცოცხი ეგდო.

— მგზავრი ვარ, ირმის შვილი ჯამხუხი მქვია. თქვენს სოფელს დიდი უბედურება სწვევია. იქნებ რითიმე დაგეხმაროთ.

— თუ აგრეა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! —

ძლივს ამოილუღლუღა მოხუცმა, ხველა ახრჩობდა. ... თუმალთან ხის ტოლჩა ედგა. ძლივძლივობით მისწვდა, აიღო და წყალი მოსვა. მერე ტოლჩა დადგა და დინჯად განაგრძო: — ეს ერთი გაჩანაგებული ქვეყანაა. ამ ქვეყანაში თხუთმეტი ოჯახი თუ იქნება, ისიც გაღატაკებული და გაუბედურებული. ამ უზარმაზარი სასახლის ბატონ-პატრონი მე და ჩემი შვილიშვილი ვართ. ხომ ხედავ, რისი შემძლეც ვარ, აგრემც ყველაფერი კარგი ნახოს შენმა თვალმა. აი, ასე გაძაღლებულად მივათრევთ ცხოვრებას! — გული აუჩუყდა მოხუცს და ცრემლი მოერია.

ჯამხუხი გაოგნებული უსმენდა. თვალს არ აშორებდა. მოხუცს განიერ მკერდზე ჭაღარა წვერი ეფინა. გრძელი ულვაში გაბარდულ წვერში ჩახლართოდა. სახე ნიგვზის ნაჭუჭივით დაღარული ჰქონდა.

— ჩამოჯექი, თუ არ გეჩქარება. ჩემი ბიჭიც მალე მოვა, — სთხოვა მოხუცმა ჯამხუხს.

— სიამოვნებით.

ჯამხუხმა სკამი ახლოს მიიტანა და ჩამოჯდა. მერე მოკრძალებით ჰკითხა:

— თუ შეგიძლია, მიამბე, ასე ვინ აგაწიოკათ?

— ეს ქვეყანა ადრე უძლეველი იყო, — დაიწყო მოხუცმა, — ხალხი მდიდრულად ცხოვრობდა. დიდძალი ნახირი ჰყავდათ. ტყეში ათასობით საქონელს უშვებდნენ აჟვეიპშაასთვის[1]... თავისთვისაც საკმაოდ რჩებოდათ. ეს სასახლე შვიდ ძმას ეკუთვნოდა. თურმე იმათ პაპას აუშენებია შვილიშვილებისთვის. მართლაც ღირსეული ვაჟკა-

---

[1] წინათ აფხაზები ათასი სული ნამატიდან ასს ტყეში გაუშვებდნენ ხოლმე, როგორც აჟვეიპშაას წილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცები იყვნენ. ღმერთმა ბედი კი არ არგუნა. სიკეთით ყველასგან გამოირჩეოდნენ. ნადირობაში და ჯირითში ხომ ბადალი არ ჰყავდათ. მათი იმედით ხალხს გული საგულეს ჰქონდა. როგორც აფხაზები იტყვიან — მათ ქათმებს ქორი ვერ გაეკარებოდა. შვიდივე ცოლიანი იყო და შვიდთავეს თითო ვაჟი ჰყავდა. ბავშვები მცირეწლოვანები იყვნენ. უფროს ძმას ბაგარკანი ერქვა. ბაგარკანი მე და ჩემმა დედაბერმა გავზარდეთ, ჩემი ვაჟის ტოლი იყო. სულ ერთად თამაშობდნენ. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

ცხრა მთას იქით საზარელი დევები ცხოვრობდნენ. მათი შიშით დედამიწაზე ჭიანჭველას ვერ გაევლო და ცაში ფრინველს, თუმცა ჩვენს ქვეყანას ბაგარკანისა და მისი ძმების შიშით ახლოს არ ეკარებოდნენ.

ერთხელ ბაგარკანის ოთხი ძმა სანადიროდ წავიდა. მაშინ კი იხელთეს დრო დევებმა და თავს დაგვესხნენ. მას შემდეგ გავიდა... — მოხუცი მოიჭმუხნა, ჩაფიქრდა,—საკმაოდ დიდი ხანი.

ბაგარკანი თეძოში დაიჭრა. სისხლისგან იცლებოდა, ვის ეცალა მისთვის? ძალა მოიკრიბა და თვითონ ამოიძრო ჭრილობიდან ისარი, მერე მოიხია ახალუხის კალთა, მაგრად შეიხვია ჭრილობა და ისევ თავგამოდებით შეუტია მტერს. ბაგარკანი თანდათან გრძნობდა, რომ ძალა ეცლებოდა, უმცროსი ძმაც სასიკვდილოდ დაიჭრა. ბაგარკანმა მოიხმო მეორე ძმა და საჩქაროდ გაგზავნა სანადიროდ წასული ძმების საძებნელად.

— აქ რომ დარჩე, მაინც ვერაფერს გახდები. უმჯობესია ძმებს შეატყობინო ჩვენი გასაჭირიო, — უთხრა ბაგარკანმა.

სანამ ბაგარკანის ძმები მოვიდოდნენ, ყველაფერი დაგ-
თავრდა. მძარცველებმა გაიმარჯვეს, აგვაწიოკეს. მთელი
დოვლათი წაგვართვეს. ბევრი ჩვენიანი დახოცეს. ვინც
გადავრჩით, პირუტყვთან ერთად გაგვრეკეს მთაში.

მახსოვს, როცა გვერეკებოდნენ, დევების უმცროსი ძმა
დაუაპში ხან წინ გაგვისწრებდა, ზოგჯერაც ბოლოდან გა-
მოგვძახებდა რამეს. თვალის დახამხამებაში ხან ერთი
მხრიდან ამოგვიდგებოდა, ხან — მეორედან. ნელა რომ
მივდიოდით, გული უწუხდა და მათრახით გვაჩქარებდა.
ჰაიტ, წყალმა წაიღოს მისი თავი, მერე რა შესახედი იყო.
ნამდვილი წითური გოლიათი გახლდათ. სიზმარში რომ
გენახა, შეგეშინდებოდა. სამი თავი ება. სახეები ერთიმე-
ორეზე მახინჯი ჰქონდა.

სწორედ ეს დაუაპში შეება ბაგარკანს. პირველად ბა-
გარკანმა მოჰკვეთა ერთი თავი დაუაპს. სანამ გოლიათი
შემობრუნდა, მეორე თავიც ძირს გაგორდა. მაგრამ წუ-
თიც არ გასულა, სამივე თავი კისერზე ება. დევს თუ ნაჭ-
რილობევზე საჩქაროდ არ დააყარე ნაცარი და ნაკვერცხა-
ლი, ჭრილობა იმავე წამს მოუშუშდება. გამწარებულმა
დაუაპშმა აღარ დააყოვნა და იქვე განგმირა ბაგარკანი.

მოხუცს საშინელი ხველა აუვარდა და წყალი მოსვა.

— ჰოდა, იმას გეუბნებოდი. განაწამები ტყვეები, და-
უაპშის გამოჩენაზე თვითონვე ვაჩქარებდით ნაბიჯს და
მათრახის შიშით კისრის მტვრევით გავრბოდით: „არიქა.
დაუაპში მოდის, თავს ვუშველოთ!“ უძლურ მოხუცებს
ახალგაზრდები ეშველებოდნენ. ისე კი ნამდვილი ავი სუ-
ლი იყო დაუაპში. მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა.
ვინც კი მოინდომებდა გაქცევას, სიკვდილი არ ასცდებოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვინ მოთვლის, ამ მიზეზით რამდენი ჩვენიანი დაიხოცა. საწყლები, ცალ-ცალკეც ვერ დავასაფლავეთ. შუა ტყეში გავთხარეთ საერთო საფლავი და ყველა ერთად ჩავმარხეთ. ბაგარკანის და მისი ერთი ძმის ცხედარი მინდორში ვიპოვეთ, მალულად წამოვიღეთ და ამ სასახლის ეზოში დავასაფლავეთ, შემოსასვლელში, ალბათ შენც შეამჩნევდი. თავთან ქვებიც დავუწყვეთ. ასე იყო თუ ისე, ზოგიერთებმა რის ვაი-ვაგლახით მოვახერხეთ ტყვეობიდან გაქცევა და აქ დაბრუნება. მტერსაც კი არ ვუსურვებ იმას, რაც აქ ვნახეთ. შარაგზაზე აბღავლებული საქონელი დაეხეტებოდა. რამდენიმე დღის გამოუწველავი ცურები გასკდომაზე ჰქონდათ. სიმწრისგან არ იცოდნენ, რა ექნათ. დამწყვდეული მშიერი ხბოები ზოგი დახოცილიყო, ზოგი სულს ღაფავდა, ძაღლებიც კი შიმშილისაგან ისე დასუსტებულიყენენ, ძლივს დალასლასებდნენ და საცოდავად წკმუტუნებდნენ.

თუკი რამ ცოცხალი ვნახე, თან წამოვიყვანე. ვიფიქრე — გამოვკვებავ, გადავარჩენ და მერე იქნებ პატრონიც გამოუჩნდეს-მეთქი. შენი მტერი გამოჩნდეს ისე.

დოვლათი რომ შეგვენარჩუნებინა, მუშახელი იყო საჭირო. აბა მე და ჩემი შვილიშვილი რას გავხდებოდით! დავსახლდით ამ სასახლეში და რაც შეგვეძლო მოვუარეთ ქაურობას. მართალია, ძმები დაიღუპნენ, მაგრამ იქნებ მათი შვილები გადარჩნენ და როდისმე დაუბრუნდნენ თავიანთ სახლ-კარს-მეთქი. ამასობაში კარგა ხანი გავიდა და კაცის ფეხი არ დადგმულა ამ მიწაზე.

მოხუცს პირი უშრებოდა და წარამარა წყლით ისველებდა გამხმარ ტუჩებს. ხან ჩაფიქრდებოდა, თითქოს რაღაცას იგონებსო.

— თუმცა, — განაგრძო მოხუცმა,—ერთხელ გზად მიმავალმა მონადირეებმა აქ პატარა ბიჭუნა მოიყვანეს. ბავშვი სულ ბეწვით იყო დაფარული. ასე თქვეს, ირმებს ბავართვით, თავის ნუკრებთან ერთად ზრდიდაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხუცი ასე დაუძლურებული რომ არ ყოფილიყო, უეჭველად შეამჩნევდა, ამ სიტყვებზე როგორ შეკრთა მისი სტუმარი. ჯამხუხმა მაშინვე შეიკრა ჩოხის სახელო, ბეწვი დაიფარა.

ჯამხუხი ადრეც ხვდებოდა, რომ მას დედა-მამა არ ზრდიდა. ირმებთან რომ რაღაც აკავშირებდა, იმასაც გრძნობდა. ალბათ ამიტომ უყვარდა ირმები ასე ძლიერ. თუმცა ჯამხუხმა მაინც ვერ შეიტყო, ვინ იყვნენ მისი მშობლები. მხოლოდ ის გაიგო, რომელი ქვეყნიდან იყვნენ.

ის ღამე ჯამხუხმა მოხუცთან და მის შვილიშვილთან გაათენა. მთელი ღამე საუბარში გაატარეს. მოხუცი ისე იყო დანატრებული ლაპარაკს, დილამდე სიამოვნებით ყვებოდა ბაგარკანისა და მისი ძმების ამბავს. ჯამხუხი დაძაბული უსმენდა. უნდოდა ყველაფერი დაწვრილებით გაეგო. თუმცა მაინც ვერ შეიტყო მშობლების ვინაობა.

მეორე დღეს, დილით ადრე ჯამხუხი გაუდგა გზას. გადაწყვიტა, რადაც არ უნდა დამიჯდეს, გავიგებ, სად არის აქედან გადახვეწილი ხალხი, რა ბედი ეწიათ უცხო ქვეყანაში და ძალ-ღონეს არ დავიშურებ მათ დასახმარებლადო.

●

დილით ჯამხუხმა ისაუზმა, გამოემშვიდობა მასპინძლებს და გზას გაუდგა. მდინარის ნაპირს გაუყვა. უნდოდა ღევების სამფლობელოში მოხვედრილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაშკაშა მზიანი დღე იდგა. შუადღე ახლოვდებოდა. მდინარის ნაპირს დასასრული არ უჩანდა. ჯამხუხმა უკან მოიტოვა თვალუწვდენელი ველები. ახლა მაღალ მთას აუყვა.

გაიარა ერთი ტყე, მეორე, მესამე... უცებ მუხლებზე დაჩოქილი კაცი დაინახა. თავი მიწაზე ედო და რაღაცას გულმოდგინედ უსმენდა. ცალი ყური მიწაზე კომბოსტოს ფოთოლივით გაეშალა. თვალები ხან გაუბრწყინდებოდა, ხან კი ცრემლით ევსებოდა.

— გამარჯობა, — მიესალმა ჯამხუხი. მაგრამ დიდყურამ არ უპასუხა. ხელითა და ფეხით ანიშნა, დამაცადე, ხელს ნუ მიშლიო.

განცვიფრებული ჯამხუხი გაიტრუნა. ცოტა ხნის შემდეგ დიდყურა წამოდგა და ჩაილაპარაკა:

— რას არ გაიგებ ამქვეყნად, — მერე მუხლები ჩამოიბერტყა და ჯამხუხს მიუბრუნდა, — ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს!

— რას უსმენდი ასე გატაცებით? — ჰკითხა ჯამხუხმა.

— ჭიანჭველები დავობდნენ ერთ ახალ ამბავზე და იმან გამიტაცა, — მიუგო დიდყურამ.

— ასეთი რა ახალი ამბავია?

— **რა და დევების სამფლობელოში** ერთი ქვრივი ცხოვრობს. მას მზეთუნახავი ქალიშვილი ჰყავს, მრა-კაპხა.

— რაო? მრა-კაპხა? — გააწყვეტინა ჯამხუხმა.

— ჰო, მრა-კაპხა. მათ გვერდით ცხოვრობენ დევები. ღმცროსს დაუაპში ჰქვია.

— დაუაპში? — აქ კი ვეღარ შეიკავა თავი ჯამხუხმა. მოხუცის ნაამბობი გაახსენდა. თვალწინ დაუდგა სამთავიანი გოლიათი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახ, დაუაპში, — გაუმეორა დიდყურამ. — დაუ-აპს შვილი არ ჰყავდა. ძალიან განიცდიდა უშვილობას. ექვსი წლის შემდეგ შეეძინა ვაჟი. დაუაპშმა განიზრახა თავისი ვაჟი მრა-კაპხაზე დაექორწინებინა. ცოტა ხნის შემდეგ დაუაპშმა დედა-შვილს ამცნო თავისი სურვილი. ქალიშვილმა სასტიკი უარი განუცხადა დაუაპშს: თუ როდისმე გავთხოვდები, მხოლოდ ირმის შვილ ჯამხუხზეო.

— მერე, მერე? — ვერ ითმენდა ჯამხუხი.

— განა დაუაპშმა რამედ ჩააგდო ქალის ნათქვამი? წუხელ თავს დასხმია ქვრივს და ქალიშვილი მოუტაცნია. საბრალო დედა სულ თმას იგლეჯდა თურმე, მაგრამ ვინ შეიბრალა. დაუაპშს წამოუყვანია მრა-კაპხა და კოშკში გამოუმწყვდევია. ასე მეყოლება, ვიდრე ჩემი ვაჟი საქორწინო არ გახდებაო.

ჯამხუხი საშინლად დააღონა ამ ამბავმა. აღარ იცოდა, რა ექნა. დიდყურამ მაშინვე შეამჩნია ჯამხუხს დამწუხრება და ჰკითხა:

— რა მოგივიდა, ასე რამ დაგაღონაო?

— ირმის შვილი ჯამხუხი მე ვარ, — მიუგო მან და სწრაფად გაეცალა.

— ოჰ! როგორ გატკინე გული, — ამოიკვნესა დიდყურამ. — თუ ნებას მომცემ, წამოგყვები, იქნებ რამეში გამოგადგეო.

მიდიოდა ჯამხუხი. დიდყურა გვერდით მიჰყვებოდა. გრძელი ყურები სიარულის დროს მხრებზე ეპარტყუნებოდა.

მიდიოდნენ ისინი დევების მაღალი მთებისაკენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი დღე-ღამე იარეს ჯამხუხმა და დიდყურამ. მესამე დღეს ერთ კაცს წააწყდნენ, იდგა და ზეცაში იმზირებოდა. წელში გამართულს ცალი ხელი მიწაზე ედო, ზედ ეყრდნობოდა.

— გამარჯობა! — უთხრეს გრძელხელას.

— ყოველივე კარგს მოესწარით, — მიუგო მან. მერე ფართო ხელისგული შუბლზე მიიფარა და ისევ ზეცას ახედა.

ჯამხუხმა და დიდყურამაც იქითკენ გაიხედეს, საითაც გრძელხელა იცქირებოდა. მზე კაშკაშებდა, ცა მოწმენდილი იყო, მაგრამ ვერაფერი დაინახეს.

— გვითხარი, რას გასცქერი. ჩვენ რომ ვერაფერს ვხედავთო? — ჰკითხა ჯამხუხმა.

გრძელხელას არც შეუხედავს მათთვის, ისე უპასუხა:

— შარშან ამ დროს, სწორედ ამ ადგილას, გარეული ინდაურების გუნდმა გადაიფრინა. კეტი მოვუქნიე. ინდაურები კეტმა სულ მაღლა აიტაცა. ახლა ველოდები, საცაა კეტი და ინდაურები ძირს ჩამოცვივიანო.

— ოჰო! რა მსროლელი ყოფილხარ. ბარაქალა! შარშანდელი ნასროლი წლეულამდე თუ არ ჩამოვარდნილაო, — გაიკვირვეს ჯამხუხმა და დიდყურამ.

— ეს რა გასაკვირია. ირმის შვილს ჯამხუხს რომ იცნობდეთ, მაშინ რაღას იტყვითო, — თქვა გრძელხელამ და მგზავრებს ალმაცრად გადახედა.

— ირმის შვილი მე ვარ, მაგრამ სხვებისაგან არაფრით გამოვირჩევიო, — უთხრა ჯამხუხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როგორ? შენ, ირმის შვილი ჯამხუხი ხარ? — შუბლიდან ხელი ჩამოიღო გაკვირვებულმა გრძელხელამ, — თუ ასეა, დღეს ჩემთან უნდა წამოხვიდეთ სტუმრად. აქვე ვცხოვრობ, გამოქვაბულში. — სთხოვა გრძელხელამ და ორივეს მოხვია გრძელი ხელი.

— ღმერთმა სიმდიდრე ნუ მოგიშალოს! სტუმრობაზე უარს როგორ ვიტყვით, მაგრამ არ გვცალია, ძალიან გვეჩქარებაო, — მოუბოდიშა ჯამხუხმა.

გრძელხელა არაფრით არ მოეშვა. მერე დიდყურამ მოუცლელობის მიზეზიც დაწვრილებით უამბო. საქმეს თუ დროზე არ მივხედეთ, ჯამხუხის საცოლეს დაუაპშის ხელში საფრთხე მოელისო.

— თუ ასეა, მეც წამოგყვებით. იქნებ რამეში გამოგადგეთო, — უთხრა გრძელხელამ.

●

მიდიოდნენ ირმის შვილი ჯამხუხი, დიდყურა და გრძელხელა. სამი დღე-ღამე იარეს. ერთი მთა კიდევ გადაიარეს. მეოთხე დღეს ალპიურ ზონაში აღმოჩნდნენ. იქ ცხვრის ფარა ძოვდა. შუა ფარაში წითელნაბდიანი მოხუცი ჯოხზე დაყრდნობილიყო და ჩიბუხს აბოლებდა.

იქვე დიდი ნაგაზი იწვა და კუდს ათამაშებდა.

— რეიტ კეუ! — მოესმათ საიდანღაც ხმა.

მიიხედეს და რას ხედავენ, ერთი ახალგაზრდა დახტის მთიდან მთაზე. ხან ხევში ჩახტება და იქიდან ერეკება გაფანტულ ცხვრებს.

— გიმრავლოს ფარა! — უთხრეს მეგობრებმა მოხუცს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთმა გაბედნიეროთ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, — მიუგო მოხუცმა.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!—მოისმა ის ნაცნობი ხმა, წელან რომ შორიდან გაიგონეს.

აი, სასწაული თუ გინახავთ. ამ მთის მწვერვალებზე მონავარდე ჭაბუკს ორივე ფეხზე წისქვილის ქვები ება. მას თავისუფლად დგომა არ შეეძლო. სულ უნდა ევლო. ამ წუთას რომ აქ იყო, მეორე წუთს სადღაც შორს გამოჩნდებოდა.

— ვაი, შენს დედას, — შეწუხდნენ ჯამხუხი და მისი მეგობრები.

— რა ძალა გადგია, რატომ არ მოიხსნი ამოდენა ქვებს, ნუთუ არ გაწუხებს? — ჰკითხა ჯამხუხმა.

— ესეც რომ არ მქონდეს, რისი მაქნისი ვიქნები. ამითაც ძლივს ვახერხებ ფარის მოვლას. ზოგჯერ ისე შორს გაიშლებიან, კარგი ბიჭი ხარ და მორეკე. თუკი რიგიანად არ მიხედე, რაღა მწყემსი ხარ.

ჯამხუხი და მისი მეგობრები გაოცებული შეჰყურებდნენ. ქვისფეხა ისევ მოიჭრა მათთან და უთხრა:

— ჩემი რომ გიკვირთ, ალბათ ირმის შვილი ჯამხუხი არ გინახავთო.

— მერე შენ გგონია, ჯამხუხი შენზე სწრაფი მორბენალია? — ჰკითხა ჯამხუხმა.

— ჩემზე სწრაფი კი არა, მისი მსგავსი ჯერ არ გაჩენილა ამქვეყნადო, — მიუგო ქვისფეხამ. — აბა, იკითხე, მთელი მწყემსები ამას ამბობენო.

— ტყუიან. მე ვარ ირმის შვილი ჯამხუხი. აბა, მითხარი, რით გამოვირჩევი სხვებისგან.

ქვისფეხამ პირი დააღო. ირმის შვილი შეათვალიერა. მერე მოხუცს გასძახა:

— აუ, ბაბუა, გესმის? ირმის შვილი გვესტუმრაო.

მოხუცის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სთხოვა ჯამხუხს:

— თუ მართლა ირმის შვილი ხარ, არსად გაგიშვებთ. ორი-სამი დღე ჩვენთან დარჩით სტუმრად. მეგობრებთან არ შეგარცხვენთ. ერთი ჩვენი პურ-მარილიც გასინჯეთო.

მოხუცი სტუმრებს გზაზე გადაუდგა. გასაქანს არ აძლევდა.

— ღმერთმა სიმდიდრე ნუ მოგიშალოთ, ჩვენ კი დასარჩენად არ გვცალია. დევების სამფლობელოში მიგვეჩქარებაო, — აუხსნა ჯამხუხმა.

— იქ მისვლასაც მოასწრებთ, — არ ეშვებოდა მოხუცი. — ასეთი საპატიო სტუმრები უპატივცემლოდ როგორ გაგიშვათ. სხვა რომ არაფერი, მეზობელი მწყემსები რას იტყვიან. სტუმრის მიღება ვერ შესძლესო, ხომ მოგვეჭრა თავი?

კიდეც დაღამდა. მაგრამ სახიფათო გზა ჰქონდათ გასავლელი, თანაც ხათრი ვერ გაუტეხეს მოხუცს და გადაწყვიტეს იქ დარჩენა. ივახშმეს. მერე დიდხანს ისაუბრეს. მოგზაურობის მიზეზიც უამბეს მასპინძლებს.

— მართლაც დიდი საქმე გქონიათ. მეც წამოგყვებით, შეიძლება რამეში გამოგადგეთ. სხვა თუ არაფერი, სისწრაფეში ბადალი არა მყავსო, — უთხრა მეგობრებს ქვისფეხამ.

— ძალიან კარგიო, — მათაც მიუგეს.

ქვისფეხამ ნახირი მოხუცს ჩააბარა და ჯამხუხს გაჰყვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯამხუხს უკვე ოთხი მეგობარი ჰყავდა. ოთხივე ერთნაირად განიცდიდა ირმის შვილის ტანჯვას. მიდიოდნენ დაფიქრებულნი. ვინ იცის, რამდენი მთა გადაიარეს. მესამე დღეს ფიჭვნარში ამოჰყვეს თავი. ოფლად იღვრებოდნენ. გზას დასასრული არ უჩანდა. ძალზე დაიქანცნენ. მოსწყურდათ კიდეც. უცებ მდინარის კალაპოტს წააწყდნენ. შუადღე ახლოვდებოდა. მდინარე ახლად ამომშრალი იყო. იფიქრეს, ალბათ ვიღაცამ მდინარეს კალაპოტი ახლახან თუ შეუცვალაო.

გაჰყვნენ მდინარის კალაპოტს. გზაც იქით ჰქონდათ. ცოტა მოშორებით ჩანჩქერის ხმაური გაიგონეს. მერე მდინარეც დაინახეს, მაღალი მთიდან გადმოჩქეფდა. მისი შხეფები ჰაერში ვერცხლისფრად იმსხვრეოდა. მდინარესთან ახლოს მივიდნენ. ისევ სასწაული. სადაც ჩანჩქერი ეცემოდა, ერთი ჭაბუკი დამდგარიყო, პირი გაეღო და მდინარის წყალი პირდაპირ პირში ჩაუდიოდა. ეტყობოდა, წყურვილს ვერ იკლავდა და გამწარებული ყვიროდა:

— წყალი, წყალი, წყურვილით ვკვდებიო!

დიდხანს უმზერდნენ ჯამხუხი და მისი მეგობრები ამ სანახაობას, ბოლოს ჰკითხეს:

— ისეთი რა წყურვილი გკლავს, მდინარემ ვერ დაგიცხროო?

— სამი დღეა წვეთი წყალი არ დამილევია, წყურვილისგან ვიხრჩობიო, — მიუგო ხვრეპიამ.

— სამი დღის მოწყურებულს კი არა, ვის არ ეყოფოდა ამდენი წყალი? —თქვა გაოცებულმა დიდყურამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ ჩემი გიკვირთ და აბა, ერთი ირმის შვილი ჯამხუხი ნახეთ, მაშინ რაღას იტყვითო, — ნიშნის მოგებით ჩაილაპარაკა ხვრეპიამ.

— ირმის შვილი ჯამხუხი მე ვარ. შენ კი როგორ შეგედრები. ახლა მეც მწყურია, მაგრამ ერთი ყლუპი წყალი მეყოფაო, — უთხრა ჯამხუხმა.

ხვრეპიამ წყალს თავი ანება და ჯამხუხს მიუბრუნდა.

— რაო? შენა ხარ ირმის შვილი? აქ რამ მოგიყვანა. ახლოს მოდი, შენი ჭირიმე, რამდენიც გინდა, დალიე, — უკან დაიხია ხვრეპიამ.

მდინარის კალაპოტი ისევ აივსო, აქაფდა და გაჰყვა თავის დინებას. მეგობრები ნაპირთან დასხდნენ და ცოტა დაისვენეს. წყლის სმითაც გული იჯერეს. ხვრეპიასაც უამბეს თავიანთი გასაჭირი. მერე ადგნენ და წასასვლელად მოემზადნენ. ხვრეპიამაც ისურვა მათთან ერთად წასვლა.

— უარს ნუ მეტყვით, იქნებ რამეში მეც გამოგადგეთო, — სთხოვა მეგობრებს.

აბა, უარის თქმა რა საკადრისი იყო. ხელი გადახვიეს ახალ მეგობარს და გაუდგნენ გზას.

●

სამი დღე-ღამე შეუსვენებლად იარეს. მეოთხე დღეს შევიდნენ დაბურულ ტყეში. პანტა ვაშლის ძირას დასხდნენ, დაისვენეს. დაღლილობისგან ხმას ვერ იღებდნენ. მათ ზემოთ, ხის კენწეროზე ორი ჩხიკვი შემოჯდა. ამ დროს საიდანღაც გამოვიდა ალვის ხესავით წვრილი და მაღალი ახალგაზრდა. მას არც კი შეუხედავს, ვინ იჯდა

ხის ძირას. ხეზე აცოცდა და ჩხიკვებს მიუახლოვდა. მერე გამოაძრო ერთ ჩხიკვს ბუმბული და მეორეს გაუკეთა. ასე აძრობდა ბუმბულს, ხან ერთსა და ხან მეორეს. ჩხიკვები, ეითომც აქ არაფერიაო, ვერაფერს გრძნობდნენ.

— ხედავ, რას აკეთებს? ჩხიკვები კი აინუნშიაც არ არიან, — გაუკვირდა ჯამხუხს.

— ხა, ხა, ხა. — გაიცინა ხელმარჯვემ და მგზავრებს ჩამოსძახა: — ირმის შვილ ჯამხუხს რომ იცნობდეთ, ჩემი ხელმარჯვე სულაც არ გაგაოცებდათო.

— მე ვარ ირმის შვილი, — ასძახა ჯამხუხმა. — მაგრამ რამდენიც არ უნდა ვეცადო, ვერ შევძლებ მაგგვარ რამესო.

— შენა ხარ ჯამხუხი?—დაიყვირა ხელმარჯვემ, ძირს ჩამოვიდა და მეგობრებს მიესალმა:

— გამარჯობათ!

— ღმერთმა გამარჯვება ნუ მოგიშალოს! — უპასუხეს და ფეხზე წამოდგნენ.

მერე ისევ დასხდნენ და დაიწყეს თავიანთი ამბის მოყოლა. შეწუხდა ხელმარჯვე. სხვა რა უნდა ექნა. შესთავაზა მეგობრებს:

— თუ ასე გაქვთ საქმე, იქნებ მეც გიშველოთ, წამოვალ თქვენთან ერთადო.

●

დევების სამფლობელოსკენ მიმავალ გზას ექვსი მეგობარი მიჰყვებოდა — ირმის შვილი ჯამხუხი, დიდყურა, გრძელხელა, ქვისფეხა, ხვრეპია და ხელმარჯვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იარეს, იარეს და ერთ მთიან ქვეყანას მიადგნენ.

მზე ჩადიოდა. ფერდობზე ფარა გაშლილიყო. ახლოს რომ ჩაუარეს, მეცხვარის ძაღლებმა უცხოები შენიშნეს და ყეფა ატეხეს. კარვიდან მოხუცი გამოვიდა. ძაღლები დატუქსა.

— ეშმაკმა წაიღოს თქვენი თავი. ხმა ჩაიკმიდეთ! — მოხუცი დაიხარა, თითქოს ჯოხს იღებსო. ძაღლები პატრონის დანახვისთანავე დაფრთხნენ.

მოხუცი და მგზავრები მიესალმნენ ერთმანეთს. როგორც წესი, მოხუცმა უცხოები შინ მიიპატიჟა. მგზავრებმა უარი უთხრეს, შორი გზიდან მოვდივართ, ძალიან გვეჩქარება, დევების ქვეყანაში მივდივართო.

— კარგი, ბაბა, თუ დაუაპშის სამფლობელოში მიგეჩქარებათ, ბევრი აღარ დაგრჩენიათ სავალი. შეისვენეთ ცოტა. აი, იქ ცხოვრობს დაუაპში, — მოხუცმა მთის ფერდობისკენ მიუთითა.

მგზავრებმა ბურუსში ძლივს გაარჩიეს უზარმაზარი სასახლე. სასახლეს ირგვლივ მაღალი გალავანი ჰქონდა შემოვლებული.

— თვითონ დაუაპში ეს წუთია აქ იყო და წავიდა. ამ ბოლო ხანებში დიდი ხნით ვერ ტოვებს სახლს. ძმებს შურისძიების ეშინიათ. ქალი ჰყავთ მოტაცებული და იმას დარაჯობენ. ამიტომ გეუბნებით, დარჩით ამაღამ ჩემთანმეთქი. ღამე მათსა ვერავინ შევა.

— განა არის ამქვეყნად ვინმე, ვისიც დაუაპშს ეშინია? — ჰკითხა ჯამხუხმა.

— არის, დედ. ხომ გაგიგიათ — მჯობნის მჯობნი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაილევაო, — მიუგო მოხუცმა. — მოტაცებულ ქალიშვილს მრა-კაპხა ჰქვია. იგი ვიღაც მთის გადაღმელ ჭაბუკზე ყოფილა დანიშნული. აი, მისი შიში აქვს დაუაპშს. დაუაპშის დედა გულთმისანია. იმანაც გააფრთხილა თავისი ვაჟები, ეგ ქალი ავ საქმეს შეგყრითო. დედის წინათგრძნობის სჯერათ და სახლს არ შორდებიან.

●

ჯამხუხი და მისი მეგობრები გამოემშვიდობნენ მოხუცს და გზა განაგრძეს. როგორც იქნა, კითხვა-კითხვით მიაღწიეს მრა-კაპხას დედასთან. იგი სოფლის განაპირას ცხოვრობდა. ოროთახიანი ქვის პატარა სახლი ედგა. დიდ ოთახში ცეცხლი უკვე ჩაფერფლილიყო. მბჟუტავი ნაკვერცხლების შუქზე კედლები ნაცრისფრად გამოიყურებოდნენ. აქ ცხოვრობდა მარტოხელა ქვრივი.

იგი დაბალ სკამზე იჯდა და ფიქრში წასული კერიას მისჩერებოდა.

სტუმრების დანახვაზე ქვრივი მაშინვე აფუსფუსდა. გადასძახა მეზობლებს. გააჩაღეს ცეცხლი. მოამზადეს ვახშამი და რაც შეეძლოთ გაუმასპინძლდნენ საპატიო სტუმრებს. მერე ქვრივმა დაწვრილებით უამბო თავისი უბედურების ამბავი; წინათ თურმე ეს ხალხი ბედნიერად და მდიდრულად ცხოვრობდა. ერთხელ მათ თავს დასხმია დაუაპში და მისი ძმები. აუწიოკებიათ ხალხი. ვინც დახოცეს, დახოცეს, ვინც არადა დაუტყვევებიათ და პირუტყვთან ერთად გაურეკავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისაც სიარული არ შეეძლო, — ყვებოდა ქვრივი — ფეხში წაავლებდნენ ხელს და პირდაპირ ხრამში გადაუშახებდნენ. კაცები და ქალები ცალ-ცალკე მიჰყავდათ. ჩვენი მხსნელი არავინ იყო. ის შვიდი ძმა, ვინც გვიცავდა, ადრე დაიღუპა. უფროსს ბაგარკანი ერქვა. მე და ბაგარკანის ცოლი მთელი გზა ერთად მივდიოდით. საწყალი ავად იყო. ხელში ერთი წლის ბიჭუნა ეჭირა. ხშირად ვეშველებოდი ბავშვის ტარებაში. არც მე შემწევდა დიდი ძალა, ფეხმძიმედ ვიყავი მრა-კაპხაზე. ძლივს მივჩანჩალებდით. სხვებს რომ ჩამოვრჩებოდით, მძარცველები ზურგში გვირტყამდნენ. რამდენჯერ დავეცით კიდეც, მაგრამ თვითონვე წამოვბობღდებოდით. უმცროს დევს დაუაპში ერქვა. ეს იყო ყველაზე ავი და ბოროტი. რამდენიმე ძმა ბაგარკანმა მოუკლა, ერთი ათად იყო გაბოროტებული და ჯავრს ჩვენზე იყრიდა. უცებ შეამჩნია, მე და ბაგარკანის ცოლი რომ ჩამოვრჩით. გაშმაგებული მოიჭრა, დედას ბავშვი ხელიდან გამოგლიჯა და შქერებში გადაისროლა. მოვრთეთ წივილ-კივილი, მაგრამ ვინ იყო განმკითხავი. ბაგარკანის ცოლმა ვერ გაუძლო ამ უბედურებას და იმ ღამითვე გარდაიცვალა. ჩვენ აი, აქ შემოგვრეკეს. მე ქალიშვილი შემეძინა, მრა-კაპხა. გადიოდა წლები. იზრდებოდა ჩემი გოგონა. რაც შემეძლო ვანებივრებდი. პატარა ქალბატონივით ვზრდიდი. ჯერ ისევ ბავშვური გარეგნობა ჰქონდა. ზეიმზეც კი არ ეპატიჟებოდნენ. საიდანღაც მისთვის თვალი მოუკრავს წყეულ დაუაპშს. ერთხელ გამომეცხადა და მიბრძანა: ჩემი ცოლი ფეხმძიმედ არის, თუ ვაჟი შემეძინა, იცოდე, შენი ქალი უნდა შევრთოო. მის სიტყვებს მაშინ არ მივაქციე ყურადღება. მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, მა-

ლე მოლოგინდა დაუაპშის ცოლი და მართლაც ვაჟი შეეძინა. ბიჭი რომ ხუთი წლის შეიქნა, დაუაპშმა მომტაცა ჩემი მრა-კაპხა. არაფრად ჩააგდო ჩემი თხოვნა და ცრემლი. რა ხანია შვილი არ მინახავს. ვინ იცის, იქნებ მომიკლეს კიდეც, — ამოიკვნესა ქვრივმა.

ჯამხუხი რაღაც ეჭვებმა შეიპყრეს.

— სხვას ვერაფერს გაიხსენებთ ბაგარკანის ცოლსა და მის ბავშვზე? — ჰკითხა ქვრივს.

— როგორც ვთქვი, ბაგარკანის ცოლი საღამოს გარდაიცვალა. ღამით კაცებმა მალულად დაასაფლავეს, პატარა მუხის ძირას. თავთან ქვა დაუდეს, საფლავი რომ არ დაკარგულიყო. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ალბათ ვეღარც კი ვიცნობ იმ ადგილს. ბუჩქებში ჩაგდებული ბავშვის ტირილი ახლაც ყურში მესმის. ვერ აგიწერთ, რა საცოდაობა იყო. ბავშვი ტირილით მოიწევდა. დედა, დედაო, — გაიძახოდა. ოჰ, საბრალო ჯირი[1]. მართლა ფოლადივით მაგარი ბიჭი იყო და ჯირიც იმიტომ დაარქვეს. — ქვრივს ცრემლი მოერია. მერე ჩაფიქრდა. — კიდევ რა. ჰო, ბავშვს მარცხენა იდაყვის ქვემოთ ხალი ჰქონდა.

ამის გაგონებაზე ჯამხუხი შეტოკდა. ხალზე იტაცა ხელი და მოეფერა. ქვრივის ცრემლით სავსე თვალებს არ შეუმჩნევია ჯამხუხის მოძრაობა. იგი ისევ იმეორებდა:

— მარცხენა იდაყვის ქვემოთ ხალი ჰქონდა. მრავალძარღვას ფოთოლივით დიდი და მოწითალო. მეორე ხალი აი, აქ ჰქონდა, — თქვა ქვრივმა და ჯამხუხს ზურგზე მიადო ხელი. — ასე დავტოვეთ ატირებული ბავშვი და წავე-

---

1 სახელია, ნიშნავს ფოლადს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით. საცოდავი, ალბათ მხეცებმა შეჭამეს. აბა, ვინ იპოვ-
და. მაშინ აქ გზაც არ იყო.

ჯამხუხმა ასე მოულოდნელად გაიგო თავისი თავგადა-
სავალი. მოხუცისა და ქვრივის ნაამბობმა იგი საშინლად
ააფორიაქა. აღარაფერი ესმოდა, ვერაფერს ხედავდა. ქვრი-
ვი კი განაგრძობდა:

— ჩემს გოგონას რომ დაუაპშისთვის უარი არ ეთქვა,
ალბათ არ წამართმევდა მის თავს. მრა-კაპხამ ისიც უთხ-
რა, ირმის შვილის გარდა არავის გავყვები ცოლადო.

— რაო, ირმის შვილიო? — ჯამხუხს გაუკვირდა,
ქვრივმა რომ მისი სახელი ახსენა.

— ჰო, ჯამხუხის გარდა არავის გავყვებიო. ორი-სამი
წელია სულ ამ სახელს გაიძახის. დაუაპშსაც ეშინია ჯამ-
ხუხის. ამბობენ, გმირთა გმირიაო. სწორედ ამიტომ მო-
იტაცა ჩემი ქალი, ჯამხუხს რომ არ დაესწრო მისთვის. ახ-
ლა გამოკეტილი ჰყავს და ახლოს ვერავინ გაეკარება. დე-
ვებმა სასახლის გალავანს ღრმა არხი შემოავლეს. როცა
თვითონ მოუნდებათ გავლა, მაშინ ხიდს გადებენ, გაივ-
ლიან თუ არა, ისევ აიღებენო, — ჩიოდა ქვრივი.

— ეს არის ირმის შვილი ჯამხუხი. სწორედ მრა-კაპ-
ხას დასახსნელად მოვიდა იგი, — უთხრა დიდყურამ და
ჯამხუხზე მიუთითა.

— შემოგევლოს ჩემი თავი, აი, თურმე ვისი ქება-დი-
დება ისმის. მე რომ ბედი მქონოდა, ცოტა ადრე გამოჩნ-
დებოდი, ვიდრე მრა-კაპხას წამართმევდნენ, — ატირდა
ქვრივი.

მეგობრებმა დაამშვიდეს საბრალო ქალი. ბოლოს გა-
დაწყვიტეს, ის ღამე მასთან გაეთიათ. დილით ადრე კი
თავს დასხმოდნენ დევებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გავარდა ხმა. ჯამხუხი და მისი მეგობრები ქვრივთან არიან სტუმრადო. იმავე ღამეს შეიკრიბნენ ახალგაზრდები. მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს, ალყა შემოერტყათ დაუაპშის სასახლისთვის. გაუგზავნეს მოციქულები და შეუთვალეს — დაგვიბრუნეთ მრა-კაპხა და დატყვევებული ხალხი გაათავისუფლეთო.

დაუაპშსა და მის ძმებს ეს სასაცილოდ არ ეყოთ.

ჯამხუხის მოციქულები დაიჭირეს. ერთი მაგრად გაროზგეს და საჯინიბოში ჩაყარეს.

ჯამხუხი და მისი მეგობრები ელოდნენ პასუხს, მაგრამ არც პასუხი ჩანდა და არც გაგზავნილი ხალხი. ყველა ჯამხუხს უცდიდა, რას იტყვისო.

— თავს უნდა დავესხათ, სხვა გზა არ არის. მოლაპარაკებით მათთან ვერაფერს გავაწყობთო, — თქვა ჯამხუხმა, ხმალი იშიშვლა და ხალხს წინ გაუძღვა.

მიადგნენ წყლით სავსე არხს. დევები აივანზე გადმომდგარიყვნენ და სიცილით იგუდებოდნენ: ერთი ვნახოთ, აქეთ როგორ გადმოსცურავთო.

უცებ ხვრეპია გამოეყო მეგობრებს, არხთან მიიჭრა და ხვრეპა დაიწყო. წყალი თანდათან დაიწია და დაშრა. დაუაპშმა გაკვირვებისაგან პირი დააღო, ეს რა სასწაული ვნახეო.

დევების დედამ თავისი ვაჟიშვილები იხმო.

დაუაპშმა ბრძანა, ისევ გაევსოთ არხი.

ოცდახუთი ახალგაზრდა დევი შეუდგა ბრძანების შესრულებას. არხი კვლავ წყლით აავსეს. ხვრეპია კი ხვრეპდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ხვრეპდა. ჯამხუხმა და მისმა მეგობრებმა, როგორც ნა, არხი გადალახეს.

ადაუს დედამ გააფრთხილა შვილი:

— დაუაპშ, ნურაფრის იმედი ნუ გაქვს. იმათ ვერაფერს დააკლებ. ჯობია ტკბილად მოელაპარაკო და მერე ვნახოთ, რაც იქნებაო.

დაუაპშს დედის სიტყვები სასაცილოდ არ ეყო:

— ექვსიოდე მაწანწალას გულისთვის თხუნელასავით წინასწარ დავითხარო თვალები? რას ბოდავ, დედაჩემო, ხომ არ გაგიჟდიო.

დაუაპშმა და მისმა ძმებმა არ დაუჯერეს დედას. გამოვიდნენ აივანზე და რას ხედავენ. არხში წვეთი წყალი არაა. ჯამხუხი და მისი მეგობრები საცაა გალავანს მიადგებიან.

დაუაპშს ფერი ეცვალა. ძმებიც შეშინდნენ. ჯამხუხი ჭიშკარს მიუახლოვდა. მოსწია ჭიშკარი, მაგრამ ნურას უკაცრავად, ძვრა ვერ უყო.

სასახლის გვერდით მაღალ კოშკში იჯდა მრა-კაპხა. ყური მოუკრავს. შენი მხსნელები საცაა სასახლეს მოადგებიან, არხიც ამოაშრესო, და სარკმლიდან გადმოიხედა. მისმა ბრწყინვალებამ შუქი მოჰფინა იქაურობას. ქალი ძირს გადმოიხარა. ჯამხუხმა და მრა-კაპხამ თვალებში შეხედეს ერთმანეთს. რაინდები ჭაშკარს ვერ აღებდნენ. დაღონებულმა მრა-კაპხამ თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ეჰ, ჯამხუხი რომ თავის ხანჯალს ჩემი თმის ბეწვზე გაუსვამდეს, მერე ყველივით გაჭრის ფოლადის კარსო.

დიდყურამ ყური მოჰკრა მის ნათქვამს და მაშინვე ამცნო მეგობრებს. ხელმარჯვე იმწამსვე აიწელა, მიეპარა

ქალს და მოაცალა ნაწნავიდან სამი ბეწვი. მისცა ჯამხუხს. ჯამხუხმა თმა ხანჯლის პირს გაუსვა. მერე მოუქნია ფოლადის ჭიშკარს და მართლაც ორად გააპო. ახლა გრძელხელას ჯერი დადგა. მან წამოავლო ხელი ჭიშკრის ნამტვრევებს და დევების მცველებს ესროლა. ბევრი დაიხოცა. ზოგმა თავს უშველა და გაიქცა. მერე გრძელხელამ ხე მოგლიჯა, აივანს შესტყორცნა და ჩამოანგრია. დაუაპშმა მოასწრო განზე გახტომა.

დევები ავადმყოფ დედასთან შეცვივდნენ.

— ხომ გითხარით, ძალით ვერაფერს გახდებით-მეთქი. მოელაპარაკეთ, ასე აჯობებს, — გააფრთხილა ისინი დედამ.

ახლა ძმები დარწმუნდნენ, სწორად რომ არ მოიქცნენ. შეშინდნენ. იფიქრეს, იფიქრეს და ისევ შერიგება ამჯობინეს. სთხოვეს ჯამხუხს და მის მეგობრებს, სტუმრად მობრძანდით ჩვენთანო.

მეორე დღეს დაუაპშის სასახლეში მეფური სუფრა იყო გაშლილი. ჯამხუხი და მისი მეგობრებიც იქ იყვნენ.

●

დაუაპშმა და მისმა ძმებმა იფიქრეს ჩვენი სტუმრები ნამუსიანი ხალხი ჩანს. პურ-მარილს დაგვიფასებენ და იქნებ კარგი თვალით შეგვხედონო. მერე საქონელიც მივცეთ საჩუქრად, ნამუსზე შევაგდოთ და სხვას აღარაფერს მოგვთხოვენო.

ძმები სტუმრებს მოწიწებით შეეგებნენ ჭიშკართან, შინ შეიპატიჟეს. შუა დარბაზში გრძელი მაგიდა იყო გა-

წყობილი, ჩიტის რძეც არ აკლდა. რა საჭმელ-სასმელი, ათასნაირი ღვინო, რა გინდა, სულო და გულო, რომ იქ არ ყოფილიყო. სუფრას შემოუსხდნენ. დაუაპშმა თამადობა თვითონ ითავა. პირველმა ასწია ღვინით სავსე ახმაჩირი[1].

— სანამ პურ-ღვინოს მივირთმევთ, ჩვენს მოთხოვნაზე პასუხს მოველითო, — თქვა ჯამხუხმა.

დაუაპშს პირკატა ეცა. თვალები აემღვრა, სისხლით აევსო და სიბრაზე რომ დაეფარა, ძმებს რაღაც გადაულაპარაკა. ჯამხუხი თვალს არ აშორებდა. „აი, როგორი ყოფილა დაუაპში, — ფიქრობდა იგი. — მაღალი, მხარბეჭიანი... დამჯდარიც კი არშინნახევრით მაღალი იყო სხვებზე. თავები ტანთან შედარებით ძალიან პატარა აქვს. თავიდან ფეხებამდე გაბანჯგვლულია, სიზმარში რომ ვინმემ ნახოს, ალბათ შიშისაგან ველარც გაიღვიძებს“.

ძმები შესახედავად ჰგავდნენ დაუაპშს, მაგრამ მათ თითო თავი ჰქონდათ.

— გვესმის თქვენი, — ძმებთან გადალაპარაკების შემდეგ მიუგო დაუაპშმა.—რად გინდათ ამდენი აყალმაყალი. მოვიფიქროთ რამე. აი, ამ ეზოში ალბათ შეამჩნევდით დიდ ბოძს. იგი სათამაშოებითაა შემკული. მსროლელები მას ზოგჯერ მიზანში ესვრიან. გამარჯვებული ის გამოდის, ვინც მეტ სათამაშოს ჩამოაგდებს. აი, იმ ბოძზე ავიდეს რომელიმე თქვენგანი ისე, რომ თავზე ცხელი წყლით სავსე თეფში ედგას და თუ არც ერთი წვეთი არ გადმოეღვრება, თქვენი ტყვე ვიქნებით, თუ არადა გაჩუქებთ რამდენიმე სულ საქონელს და ამით დავამთავროთ ჩვენი საქმეო,— უთხრა დაუაპშმა.

---

[1] ხის ტოლჩა.

ჯამხუხმა რაღაც გადაუჩურჩულა თავის მეგობრებს, მერე დაუაპშს მიუბრუნდა და უთხრა:

— კარგი. მაგაზე ადვილი რაღა იქნებაო.

ყველა ჩავიდა ეზოში. დაუაპშმა ფეხი მოითრია. დაუძახა მერიქიფეს და დაავალა, ყველა რომ ეზოში იქნება, სტუმრებს ტოლჩებში საწამლავი ჩაუსხიო. გაიგონა დიდყურამ. შეწუხდა. აწრიალდა. ვერ იქნა და ვერ შეარჩია დრო, რომ ჯამხუხისთვის ეთქვა ეს ამბავი.

მოიტანეს ცხელი წყალი. დაასხეს თეფშზე. ჯამხუხმა თეფში თავზე დაიდგა და ბოძს შემოაჭდო ხელ-ფეხი. თვალის დახამხამებაში ზედ მოექცა. ერთი წვეთი წყალი არ დაღვრილა. დაუაპშს გულზე შემოეყარა, „მაღლა თუ ასე სწრაფად ავიდა, ძირს უფრო მალე დაეშვება. ვაითუ ვერ მოასწროს მერიქიფემ ტოლჩებში საწამლავის ჩასხმაო".

ჯამხუხმა მაღლიდან გადაიხედა. შორს, მგლების ხროვა რომელიღაც ცხოველს დასეოდა და გლეჯდა. მგლები რომ დაიფანტნენ, ჯამხუხმა მისი გამზრდელი ირემი იცნო. საბრალო იწვა და სულს ღაფავდა. მგლებს მისთვის ყელი გამოეღადრათ. ჯამხუხს ცრემლები ჩამოსცვივდა და მიწაზე დაეცა. დევები აღრიალდნენ:

— წააგო, წააგო! — მერე ჯამხუხი მიიყვანეს და მიწაზე დაღვრილი წვეთები აჩვენეს.

— ეს წყალი არ არის, ჩემი ცრემლია. შეხედეთ, თეფში სავსეაო, — უთხრა ჯამხუხმა.

— რა გატირებდაო, — ჰკითხეს.

ჯამხუხმა უამბო ყველაფერი.

დაუაპში და მისი ძმები მაინც არ იჯერებდნენ. ჯამხუხი მეორედ ავიდა ბოძზე. ძმებსაც ის უნდოდათ, დრო გა-

ეყვანათ. ჯახმუხს მეორედაც წვეთი წყალი არ გადმოღვრია თეფშიდან. ამასობაში მერიქიფემ მოასწრო თავისი საქმე, საწამლავი სტუმრების ტოლჩებში ჩაასხა. დაუაპშს რაღა ეთქმოდა. თავი დამარცხებულად სცნო და ჯამხუხი და მისი მეგობრები მაგიდასთან მიიპატიჟა.

ოთახში შესვლამდე დიდყურამ ხელმარჯვეს უთხრა, ჩვენი მოწამვლა უნდათო. ხელმარჯვემ არც აცივა, არც აცხელა და ტოლჩებს ადგილი შეუცვალა.

სუფრას მიუსხდნენ. დაუაპშმა ტოლჩა აიღო და წარმოთქვა:

— დიდად ნასიამოვნები ვარ ასეთი შეუპოვარი გმირების გაცნობით. დაე, ჩვენი შეხვედრა არ იყოს პირველი და უკანასკნელიო, — და ტოლჩა დაცალა.

სტუმრებიც და მასპინძლებიც ფეხზე წამოდგნენ, ერთხმად შესვეს ეს სადღეგრძელო. გაჩაღდა ქეიფი. ყველანი დათვრნენ.

დაუაპში პირველი სასმისის შემდეგ თვალს არ აშორებდა სტუმრებს. მოუთმენლად ელოდა საწამლავის მოქმედებას. მაგრამ თავად დაეხვა თავბრუ, თვალები აემღვრა, ველარაფერს ხედავდა. ირგვლივ ყველაფერი დატრიალდა. ვერ გაუძლო და მაგიდაზე დაეცა. ძმებმა დაუაპში რომ წაქცეული დაინახეს, მიშველება უნდოდათ, მაგრამ ძალა არ ეყოთ. გადმოცვივდნენ სკამებიდან და იატაკზე დაეცნენ. ახლა დაუაპშმა მოიკრიბა ღონე. წამოიწია, ძმებს გადახედა და ისიც ძირს დაეცა. თვალები გადმოუცვივდა, ხელ-ფეხი მოეგრიხა, ყბა მოექცა. მიხვდა, მისი აღსასრულის დღე დამდგარიყო, ამოიკვნესა და პირქვე დაემხო.

ეს ამბავი ქვეყანას მოედო. სასახლისაკენ მიიჩქაროდა

დიდი თუ პატარა. მრა-კაპხას დედაც მივიდა. გაიმართა ახალი ნადიმი. ჯამხუხი და მისი მეგობრები მრა-კაპხას კოშკისკენ გაეშურნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევების დედამაც გაიგო შვილების ამბავი. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ლოგინზე წამოჯდა და დაიწყევლა: „დევების ღმერთო, მოწყალეო! იმ ხალხს, ვინც ჩემი შვილები გაანადგურა, ქვად გადაუქციე მრა-კაპხა. მანამ ნუ დახოცავ მათ, სანამ სულ არ გააუბედურებ მრა-კაპხას. დასწყევლე მათი სიცოცხლე, ნუ გამოულევ ტანჯვასო“.

ჯამხუხი და მისი მეგობრები შეცვივდნენ კოშკში. ფანჯარასთან გაქვავებული მრა-კაპხა იდგა. სახეზე სათნოება ეხატა. თვალებიდან სიყვარული გამოკრთოდა. გრძელი, სქელი თმა ჩანჩქერივით ეყარა მხრებზე. ქვადქცეულიც ძალზე მიმზიდველი იყო.

ჯამხუხს გული შეეკუმშა. ცრემლი ყელში მოებჯინა. ამხანაგებმა თავი ვერ შეიკავეს, მწარედ ატირდნენ. დედამისს ვერავინ ვერ აკავებდა. მისი გოდება ზეცას სწვდებოდა.

სიხარული გლოვის ზარმა შეცვალა. მხოლოდ დაუაპშის ავადმყოფი დედა ზეიმობდა.

●

სასახლის ეზო გაჭედილი იყო ხალხით. შუაში დიდი კოცონი დაენთოთ და დამწუხრებულები შემოსხდომოდნენ. შინ წასვლას არავინ ფიქრობდა. ვის არ დააღონებდა მრა-კაპხას ბედი. ჯამხუხის ტანჯვას ხომ საზღვარი არ

ჰქონდა. ვერ ისვენებდა, წინ და უკან დააბიჯებდა. საბრალო ქვრივი, ძაძებში გამოწყობილი, ფეხთით დაჯდომოდა ქვადქცეულ შვილს. უბედურ დედას წუთითაც არ შორდებოდნენ მეზობლის ქალები, გვერდით მოსხდომოდნენ და მასთან ერთად გულდამწუხრებულნი მოთქვამდნენ.

ეზოს ერთ კუთხეში, დიდი ფიჭვის ძირას დიდყურა განმარტოებულიყო. მაღლიდან ფრთების ბათქუნი შემოესმა. აიხედა. ხის ტოტზე მტრედები ისხდნენ. დიდყურა გაიტრუნა.

— კრრუ, კრრუ! — შეიფრთხიალა ერთმა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა მეორემ.

დიდყურამ ლეღვის ფოთოლივით გაშალა ყური, სმენად გადაიქცა.

— ხედავ, რა ქნა დაუაპშის დედამ? — თქვა პირველმა მტრედმა. — როგორ გააქვავა საბრალო მრა-კაპხა. გული მიდუღს, დედამისს რომ ვუყურებ.

— ვხედავ, როგორ არ ვხედავ. დასწყევლოს შაშვიმ[1] ის კუდიანი დედაბერი. აგრემც მოისპოს მისი სახელი ამქვეყნად, — მიუგო დედა მტრედმა.

— მომიყევი, გეთაყვა, რა მოხდა, — სთხოვა დედა მტრედმა.

მამა მტრედი მომაღლო ტოტზე მოხერხებულად მოკალათდა და დაიწყო:

— თორმეტი მთისა და თორმეტი ბარის გადაღმა საუცხოო ქვეყანაა გადაშლილი. იმ ქვეყანაში წინათ ბევრი ხალხი ცხოვრობდა. შვიდი ძმა იცავდა ამ ქვეყანას. ერთერთ ძმას ბაგარკანი ერქვა. შვიდივე ერთიმეორეზე უკე-

---

[1] შაშვი ღმერთია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თესი იყო. ცხოვრობდნენ ძმები ბედნიერად, შეხმატკბილებულად. ხშირად დადიოდნენ სანადიროდ. ნადირობით ისე ერთობოდნენ, შინ ორ-სამ თვეს არ ბრუნდებოდნენ.

ერთხელ ბაგარკანის ოთხი ძმა გაემგზავრა სანადიროდ. შინ დარჩენილებს მოულოდნელად დაუაპში დაესხა თავს. მას თერთმეტი ძმა ჰყავდა. რა უნდა ექნათ, ბაგარკანი და მისი ორი ძმა ეკვეთნენ თორმეტ დევს. თავგამოდებით იბრძოდნენ ძმები. დევების გვარში ყველაზე ძლიერი სამთავიანი დაუაპში იყო. ბაგარკანმა რამდენიმე დევი მოკლა, მაგრამ მტრის გასროლილი ისრით თვითონაც მძიმედ დაიჭრა. ბაგარკანის მეორე ძმას პირისპირ შეება დაუაპში და კისერში გაურჭო ხანჯალი. სასიკვდილოდ დაჭრილი ბაგარკანი მიხვდა, ვეღარაფერს გავხდებითო. მოიხმო მესამე ძმა, ყველაზე უმცროსი, და სანადიროდ წასული ძმების საძებნელად გაგზავნა. ბაგარკანის უმცროსი ძმა დაედევნა სანადიროდ წასულ ძმებს. ყველგან მოიძია, სადაც ეგულებოდა. სამი დღის სავალი ერთ დღეში გადაიარა, ბოლოს მაინც მოძებნა ძმები. შეატყობინა, თავს დევები დაგვესხნენო. ბაგარკანი მძიმედ დაგვიჭრეს, ერთი ძმაც მოგვიკლესო.

შეწუხდნენ ძმები, მიატოვეს ნანადირევი და საჩქაროდ გასწიეს შინისაკენ, უმოკლეს გზას დაადგნენ. წამით არ შეჩერებულან, გადაჭრეს მთები, კლდეები, ტყეები...

დევების უფროს ძმას ჯაჭვის პერანგი ეცვა და ისე იბრძოდა. სახეზე ფოლადის ნიღაბი ეკეთა. ხმლითა და ისრით ვერაფერს დააკლებდი. ბაგარკანმა ხომ მოასწრო და სამი დევი სასიკვდილოდ დაჭრა. სამივე იმწამსვე დასვეს საკაცეზე და შინ წაიყვანეს. დაჭრილ ძმებს წინ დაუაპში გაუ-

ძღვა. დატყვევებულ ხალხს აბღავლებულ საქონელთან ერთად მიერეკებოდნენ. არც ისე ადვილი იყო ამდენი ტყვისა და მოტაცებული საქონლის კლდე-ღრეზე გადაყვანა. მოშორებით, ქვემოთ პატარა მდინარე გამოჩნდა.

— ყმაწვილო, აბა ერთი მდინარეზე ჩაირბინე და ეს ტოლჩა გამივსე, ლამისაა სული გამძვრეს წყურვილით, — უბრძანა უფროსმა დევმა ტყვეს და ქამრიდან ხის ტოლჩა მოიხსნა.

ტყვემ ტოლჩა გამოართვა და მდინარისკენ დაეშვა. სწორედ ამ დროს მდინარის მეორე მხარეს ბაგარკანის ძმებმა ჩაიარეს. დევები მდინარიდან ცოტაოდენი მოშორებით მოდიოდნენ. ბაგარკანის ძმები ვერც შეამჩნევდნენ მათ.

ტყვემ ტოლჩას რამდენჯერმე გამოავლო წყალი და მდინარეში ჩაღვარა. წყლის ჩხრიალი შემოესმა ბაგარკანის ერთ-ერთ ძმას და მოიხედა. მდინარის გაღმა თავისი მტრები დაინახა. აბა, ვის არ მოხვდებოდა თვალში აყლაყუდა დევი.

დევმა ტყვეს ტოლჩა გამოართვა და პირზე მიიყუდა. ბაგარკანის ძმამ ვეღარ მოითმინა და ისრით დევს თავი შუაზე გაუპო.

— უჰ, იხაროს მისმა მარჯვენამ. მსროლელიც ასეთი უნდა! — აინთო დედა მტრედი.

— ჰოდა, ბაგარკანის მეორე ძმამ, არც აცივა, არც აცხელა, აიღო ლოდი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გადაისროლა. ლოდი მეორე დევს დაეცა და იქვე გააფრთხობინა სული. ბაგარკანის მესამე ძმის ნატყორცნმა ქვამ მესამე დევს გამოსთხარა თვალი. გამწარებული დევი კლდიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადავარდა და უფსკრულში ჩაიჩეხა. მართალია, ბაგარკანის ძმები გაიქცეოტნენ, მაგრამ არც მტერს დააყენეს კარგი დღე. თორმეტი დევიდან დაუაპშმა და მისმა ძმებმა შინ ექვსი ცხედარი წაიღეს. ეს რომ მათმა დედამ გაიგო, კინაღამ თავი მოიკლა. მის მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. თავში ხელს იცემდა, სახეს იხოკავდა. თავს დასდგომოდა დახოცილ შვილებს და გაბოროტებული ღმერთს ეეედრებოდა, „აფი![1] შენ შეისმინე ჩემი ვედრება. ჩემი ვაჟების მკვლელები თვითონაც ხომ დაიხოცნენ, მაგრამ წყეულიმც იყვნენ მათი შვილები! ვინც ბაგარკანის ძმებს ამცნო დევების თავდასხმა, მისმა ვაჟმა სიკვდილამდე ფეხებზე დოლაბებდაკიდებულმა იაროს. ვინც წყლის ჩხრიალი გაიგონა, მის ვაჟს უზარმაზარი ყური გაეზარდოს, ყველას დასაცინი გახდეს“.

ეს რომ დიდყურამ გაიგონა, ცოტა არ იყოს, შეიშმუშნა და ყურზე ხელი მოისვა.

მამა მტრედმა განაგრძო.

„ჰო, ვინც ჩემი შვილი მოკლა, როცა წყალს სვამდა — მისმა ვაჟმა ვერასდროს ვერ მოიკლას წყურვილი და სასაცილოდ გაებეროს მუცელი“. — მერე, დაუაპშის დედამ თქვა, „ვინც ჩემს შვილს ლოდი ესროლა, მისმა შვილმა თავის დღე და მოსწრება მძიმე ტვირთი ზიდოს, ვინც ჩემს შვილს ქვით გამოსთხარა თვალი — მის ვაჟს ისე დაუგრძელდეს ხელი, მხოლოდ ქვის გასროლა შეეძლოს“. ბოლოს კი მისი ყველაზე საყვარელი შვილის მკვლელი დასწყევლა: „მისი ვაჟი გველთევზასავით გაწვრილდეს და და-

---

[1] აფი — ელვის ღმერთი.

გრძელდეს, ძვლებიც გაუქრეს სხეულში". დედაბერს ეგონა ბაგარკანის ვაჟი ტყეში დაიღუპებაო და ის აღარ დაუწყევლია. ისე კი საბრალო ბავშვს ტყეში წანწალისა და სიცივისაგან ირმის ბეწვით დაეფარა სხეული, — ამოიღუღუნა მტრედმა.

ყველაფერი მოისმინა დიდყურამ.

— ნუთუ ამ სიმახინჯის წამალი არ არსებობს? — არ ისვენებდა დედა მტრედი.

დიდყურას სუნთქვა შეეკრა. სმენად იქცა.

— როგორ არა. შვიდი მთის გადაღმა, ზღვის პირას ფიჭვნარია. შუა ფიჭვნარში მინდორია. შუაგულ მინდორში უზარმაზარი ცაცხვის ხეა. იგი ხუთძირადაა ამოსული. ერთ-ერთის კენწეროზე ჩიტის ბუდეა. ბუდეში ორი ბარტყია — შავი და თეთრი. თუ ვინმე თეთრ ბარტყს ჩამოიყვანს და დაუაპშის დედასთან გაუშვებს, დედაბერი მაშინვე მოკვდება. თეთრი ბარტყი გაიტაცებს მის სულს. მერე, ვინც ამ დედაბერს დაუწყევლია, სიმახინჯისაგან თავისთავად განიკურნება. ქვადქცეული მრა-კაპხაც მაშინვე გაიღვიძებს.

— რაღას უცდიან მერე? — იკითხა დედა მტრედმა.

— აბა, ვინ რა იცის, სად, რისთვის, როდის და როგორ წავიდეს? თანაც დაუაპშის დედამ რა ხანია კუდიანი დედაბერი გაგზავნა შავი ბარტყისათვის. იმ დედაბერს ალბათ ნახევარზე მეტი გზა ექნება გავლილი. თუ დაუაპშის დედამ შავი ბარტყი უმალ მოიგდო ხელში, მაშინ თეთრ ბარტყს ძალა დაეკარგება და ყველაფერი უცვლელად დარჩება, ყველა დევი გაცოცხლდება, — დაამთავრა ამბავი მტრედმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდყურამ რომ ეს ამბავი მოისმინა, მეგობრები დაძებნა. ცოტა ხნის შემდეგ სასახლის ეზოს ერთ მყუდრო კუთხეში თავი მოიყარეს ირმის შვილმა ჯამხუხმა, გრძელხელამ, ქვისფეხამ, ხელმარჯვემ, ხვრეპიამ და დიდყურამ, მრა-კაპხას დედასაც დაუძახეს. დიდყურამ ყველაფერი დაწვრილებით უამბო მეგობრებს, რაც მტრედებისაგან გაიგონა.

მეგობრები პირდაღებული უსმენდნენ დიდყურას. მერე ერთმანეთს გადახედეს. ფიქრის დრო არ იყო. პირდაპირ საქმეს შეუდგნენ. ბარტყის მოყვანა ქვისფეხას დაავალეს. მას უნდა გაესწრო გაგზავნილი დედაბრისთვის, ეპოვა ბუდე და თეთრი ბარტყი წამოეყვანა. ქვისფეხამ სიტყვის დამთავრება არ აცალა, ისე გავარდა დავალების შესასრულებლად.

გაქანდა ქვისფეხა ზღვისკენ. არც მთებს შეუშინდა, არც კლდეებს. წუთსაც არ კარგავდა უქმად. გზად მიმავალმა სვია დაგლიჯა და კალათი დაწნა, ბარტყის წამოსაყვანად გამომადგებაო. გათენებისას გავლილი ჰქონდა შვიდივე მთა და შვიდივე ველი. ზღვის პირას მიირბინა, კალათი ჯიბეში ჩაიდო და მიიხედ-მოიხედა. შორიახლოს ფიჭვნარი გამოჩნდა. შევიდა ფიჭვნარში და სწორედ მინიშნებულ მინდორსაც მიადგა. შუა მინდორზე მართლაც ტოტებგაშლილი ცაცხვი იდგა. ქვისფეხამ მაშინვე ბუდეს დაუწყო ძებნა. ძირიდან კენწერომდე შეათვალიერა უზარმაზარი ცაცხვი და ერთ-ერთ კენწეროზე შავი ბუდე დაინახა. სწრაფად ავარდა ხეზე, ჩაიხედა ბუდეში. მადლობა ღმერთს, ორივე ბარტყი ადგილზე დახვდა.

— უჰ! — შვებით ამოისუნთქა ხის კენწეროზე წამომჯდარმა ქვისფეხამ. ხუმრობა საქმეა, სამი დღის საგანგებო ერთ დღეს გაიარო! ამდენი ამბის შემდეგ ქვისფეხა ერთბაშად დაიღალა. ერთ ხანს იჯდა და ბარტყებს დაჰყურებდა. ბოლოს აიყვანა თეთრი ბარტყი, კალათაში ჩასვა და ფრთხილად ჩამოვიდა ხიდან. კალათა ჯიბეში ჩაიდო და იქვე მოჩუხჩუხე წყაროს დაეწაფა. მერე ხელ-პირი დაიბანა, ქვაზე ჩამოჯდა და ზურგით ცაცხვს მიეყრდნო. იფიქრა, ცოტას შევისვენებო. ყაბალახი მოიხსნა და ოფლიანი შუბლი ნიავს მიუშვირა. მალე მზის პირველმა სხივებმა გამოაჭყიტეს. დილის ნამი ბალახზე ბროლივით აციმციმდა. იმ არემარეში არავინ ჩანდა. ქვისფეხას ძილი მოერია. ყაბალახი თავქვეშ ამოიდო და წამოწვა. დაღლილობისაგან და დილის საამო სურნელისაგან გაბრუებულს უცებ ჩაეძინა.

ქვისფეხას რომ მკვდარივით ეძინა, ამ დროს ფიჭვნარში მგელი გამოჩნდა. ზურგზე დედაბერი ეჯდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მორბოდა. დედაბერს თავზე დიდი თავსაფარი ეხვია, თავსაფრის ერთ ბოლოს ქარი უფრიალებდა. მეორეში კი რაღაც ჰქონდა გამოკრული. დედაბერს პატარა ფუთა ეჭირა. როგორც კი გამოვიდნენ ფიჭვნარიდან, დედაბერმა მაშინვე შენიშნა ცაცხვის ქვეშ მძინარე კაცი. შეაჩერა მგელი და ძირს გადმოხტა. ფეხაკრეფით მიუახლოვდა მძინარეს. კუდიანი მაშინვე მიხვდა, რომ ეს იყო თეთრი ბარტყის მაძიებელი. მან დიდხანს უცქირა მძინარეს. მშვენიერი, მხარბეჭიანი ვაჟკაცი გაშოტილიყო გულაღმა და არხეინად ხვრინავდა.

დედაბერმა ხის ძირას მიაგდო ფუთა, თვითონ საჩქა-

როდ მოებღაუჭა ფრჩხილებით ხეს და მაღლა აცოცდა. ბოლ-
ღეს ეცა და რას ხედავს, თეთრი ბარტყი უკვე წაუყვანიათ.
ხელი დაავლო შავ ბარტყს და ძირს დაეშვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვისფეხას ისევ მშვიდად ეძინა. თეთრი ბარტყი უეჭველ-
ად ამ კაცს ეყოლებოდა. კუდიანმა ქვისფეხა აათვალიერ-
ჩაათვალიერა. ჯიბეების გაჩხრეკა კი ველარ გაუბედა, შე-
ეშინდა, ვაითუ უცებ გაიღვიძოსო. ვინ იცის, როდის დაი-
ძინა, — ფიქრობდა დედაბერი. — ალბათ, საცაა გაიღვი-
ძებსო. ფრთხილად აიღო თავისი ფუთა და მძინარე ქვის-
ფეხას გვერდით დაუდო. თვითონაც იქვე ჩაცუცქდა, ფუ-
თას ხელს უსვამდა და ბუტბუტებდა:

კრუხო, კრუხო, ბებერო,
კვერცხისმდებელო!
თორმეტი კვერცხია — თორმეტი დადე,
თორმეტს დადებ — თორმეტი დაილაგე,
თორმეტს დაილაგებ — თორმეტი გამოჩეკე,
თორმეტს გამოჩეკავ — თორმეტი წია,
ჩიპი, ჩიპი — თორმეტი წია!
ფუუ, ფუუ, ფუუ!

დედაბერმა სამჯერ შეუბერა ფუთას და ხელი გადაუ-
სვა. იმავე წამს ფუთიდან თორმეტი წიწილა გამოხტა. ლა-
მაზი, ჭრელი ფრთები ჰქონდათ, ყვითელი ნისკარტები და
წერტილივით პატარა თვალები. ისინი მოგროვდნენ დედა-
ბრის წინ. კუდიანმა გამოხსნა თავსაფრის ბოლოში გამო-
კრული ფეტვი. მაშინ სიმინდის მაგივრად ხორბალს ან
ფეტვს თესავდნენ. გზად მიმავალმა კუდიანმა ფეტვის ყა-
ნები გამოიარა, ჯიბეები თავისთავად ავსებოდა ფეტვით.

„აი, ფეტვი სად გამომადგა“, — წამოიძახა გახარე-

ბულმა კუდიანმა და მთელი ფეტვი თავზე გადააყარა ქვისფეხას. წიწილები კისრისმტვრევით მისცვივდნენ და ბალბ წყეს ფეტვის კენკვა. საამო ნიავმა და წიწილების ტკბილმა ყლურტულმა უფრო ღრმად ჩააძინა ქვისფეხა.

დედაბერსაც ეს უნდოდა.

„ახლა კი ვიცი, საღამომდე ტკბილად იძინებს“, — გაიფიქრა დედაბერმა, ხელი დაავლო შავ ბარტყს, შეაჯდა თავის რუხ მგელს და უკან მოკურცხლა.

ნაშუადღევი იყო. ჯამხუხი წამდაუწუმ გამოდიოდა სასახლის აივანზე და ზღვისკენ იცქირებოდა. მისი მეგობრები ეზოში დაღონებულნი დაეხეტებოდნენ. მრა-კაპხას დედა მიჯდომოდა შვილს და ქვითინებდა. ზოგჯერ ისიც მიადგებოდა ფანჯარას და გზას გაჰყურებდა. მათ ერთი სურვილი ჰქონდათ: ქვისფეხას მოესწრო ბარტყის მოყვანა. მაგრამ ქვისფეხა არ ჩანდა.

მალე მთის ერთ-ერთ მწვერვალზე შორიდან გამოჩნდა შავი წერტილი. ვერ გაარჩევდი ადამიანი იყო თუ ცხოველი. ხალხში ჩოჩქოლი ატყდა, ყველა აივანზე გამოვიდა. ერთმანეთს არ აცლიდნენ, როგორც იქნა, გაარჩიეს, მაგრამ, ვაი ამ გარჩევას; მთიდან მოჰქროდა ცხენი თუ ჯორი, ზურგზე თავსაფრიანი ქალი ეჯდა. ყველას ენა ჩაუვარდა— ეს იყო კუდიანი დედაბერი.

ხალხმა იმედი დაკარგა. ქალებმა თმა გაიწეწეს, ატყდა კივილ-წივილი. დედაბერი უკვე კარგად მოჩანდა. იგი ულაზარმაზარ რუხ მგელზე იჯდა. მგელი ძლივს მოძუნძულებდა. უცებ დიდყურამ დაიჩოქა, ყური დაადო მიწას და ყვირილით წამოვარდა:

— ჰაიტ, დაუძინია ქვისფეხას. მისი ხვრინვა მესმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელხელამ სიტყვა არ დაამთავრებინა, წამოავლო ხელი სათამაშოებით მორთულ ბოძს, რომელზეც წინადღეს ჯამხუხი ავიდა, ამოგლიჯა, მაღლა შეათამაშა და ზღვისკენ გასტყორცნა. ბოძი ჰაერში დატრიალდა, გაქრა და იმ ცაცხვის ხეს დაეცა, საცა ქვისფეხას ეძინა. ხმაურზე ქვისფეხას გაეღვიძა.

— ოჰ, როგორ ჩამძინებია, — თქვა მან და წამოვარდა. მიიხედ-მოიხედა, ნაცნობი ბოძის ნამტვრევები დაინახა. წიწილები ძლივს მოიცილა თავიდან. ყველაფერს მიხვდა.

შეწუხდა ქვისფეხა, მაგრამ რაღას იზამდა. ჯიბეები მოისინჯა, კიდევ კარგი, ბარტყიანი კალათა ადგილზე იყო. წამოავლო ხელი ყაბალახს, თავზე მოიხვია და შურდულივით გავარდა. წამსაც არ კარგავდა. ტყვიასავით მიჰქროდა, მიარღვევდა მთებს, ტყეებს, მინდვრებს, ჭაობებს, კლდეებს...

●

— შეხედეთ, დაუაპში იღვიძებს, ცოცხლდება! — ახმაურდნენ აივანზე.

— ვაი ჩვენს მოსწრებას! გაიღვიძებს და უარეს დღეს დაგვაყრის.

— ჯამხუხ, შენ უნდა გვიშველო რამე!

— ჰო, მხოლოდ შენ შეგიძლია გვიხსნა, აგვაცდინო უბედურება! — გაისმა ყოველი მხრიდან.

ახლოვდებოდა მგელზე ამხედრებული დედაბერი. ადაუს გვარი იღვიძებდა. როცა დედაბერი მთიდან დაეშვა, დაუაპშმა ხელ-ფეხი გაანძრია, უფრო მოხერხებულად და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვა. დედაბერი ისე ახლოს მოვიდა, აივნიდან შეიძლებოდა მისი ცნობა. დაუაპში უკვე იატაკზე წამოჯდა და ხელებს დაეყრდნო. ირმის შვილმა ველარ მოითმინა, ხმალამოღებული შეიჭრა დაუაპშის ოთახში. დაუაპში ფეხზე წამოიმართა, სკამი აიღო და ჯამხუხს მოუქნია. ჩასისხლიანებული თვალები ბოროტებით ავსებოდა. ჯამხუხმა მოასწრო გვერდზე გახტომა და კარს ამოეფარა. თორემ თავს წააცლიდა მძლავრად მოქნეული სკამი. ზუსტად რომ ვერ მოზომა, გამხეცდა დაუაპში და კართან მიიჭრა. ჯამხუხმა იმარჯვა. ხმალი მოუქნია და ორი თავი წააგდებინა. მაგრამ ჯამხუხმა ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო, მოკვეთილი თავები აგორდნენ და ისევ მოებნენ დაუაპშს კისერზე. ერთხელ კიდევ შეუტია ჯამხუხმა და დაუაპშს ერთიმეორეზე წააგდებინა სამივე თავი. ესეც ამაოდ. თავები ისევ ჩვეულებრივად მიება დევს. ორივენი ძალზე დაიღალნენ, მაგრამ კუდიანის მოახლოებაზე დაუაპშს თუ ძალა ემატებოდა, ჯამხუხს თანდათან აკლდებოდა. საბრალო ოფლად ღვრებოდა. უცებ გაახსენდა ჯამხუხს მოხუცის ნათქვამი და თავის ხალხს გასძახა:

— აუ, ხალხნო, გაიქეცით და საჩქაროდ მომირბენინეთ ნაცარი და ნაკვერცხალი.

ხელმარჯვემ და დიდყურამ მაშინვე წამოავლეს ხელი ნიჩბებს, ბრძანება თვალის დახამხამებაში აასრულეს. დაუაპშმა როგორც კი შენიშნა ხელმარჯვე, შიგ მუცელში ესროლა შუბი. ხელმარჯვეს შუბი თეძოში მოხვდა და კედელს მიაკრა, დაჭრილს ხელიდან ნიჩაბი გაუვარდა. ნაცარი და ნაკვერცხალი დაიფანტა. ამ დროს ჯამხუხმა ისევ მოჰკვეთა დაუაპშს ორი თავი. თავები დაფანტულ ნაკვერ-

ცხალზე გაგორდა. სისხლი მაშინვე შედედდა. დაუაპში შეყოვნდა. ჯამხუხმა დრო იხელთა და მესამე თავიც წააგდებინა. დიდყურამ მაშინვე დააყარა დევს თავზე ნაკვერცხალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუაპში შეტორტმანდა და მთელი ძალით დაენარცხა ძირს.

ხმაურზე გრძელხელა შემოვარდა, ხელმარჯვეს თეძოდან შუბი ამოაძრო და ფანჯრიდან შორს გასტყორცნა. მერე დიდყურასთან ერთად მიუბრუნდა დაჭრილ მეგობარს, საწოლზე დააწვინა და ჭრილობა შეუხვია.

ირმის შვილმა ოფლი მოიწმინდა, თავზე ხელი გადაისვა და აივანზე გავიდა. გაიხედა და რას ხედავს — გრძელხელას გასროლილი შუბი კუდიანის მგელს მოხვედრია. შუბზე აგებული მგელი უსულოდ ეგდო ძირს. წყეული დედაბერი სასახლისაკენ გამორბოდა.

ამასობაში ქვისფეხაც გამოჩნდა.

— იჩქარე, იჩქარე! ცოტაღა დაგრჩა, —სასახლის ეზოდან უყვიროდნენ ქვისფეხას.

— გზა მიეცით, გზა! — დაიყვირა ერთმა.

ხალხი ორად გაიყო, ქვისფეხას გზას უთმობდა.

დედაბერს სწორედ ეზოსთან დაეწია ქვისფეხა, დაეწია და კიდეც გაასწრო, პირდაპირ აივანზე ისკუპა. სულმოუთქმელად შევარდა დაუაპშის დედის ოთახში. თან მიჰყვნენ ჯამხუხი თავისი მეგობრებით, მრა-კაპხას დედა, ხელმარჯვეც კი წამოაყენეს ლოგინიდან და ძლივძლიობით შეიყვანეს ოთახში.

ჩაბნელებულ ოთახში თეთრ საწოლზე იწვა დაუაპშის სულთმობრძავი დედა. იგი ცხრად მოკეცილიყო, დანაოჭე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სახე მუჭისოდენა გახდომოდა. ამ პატარა სახეზე კა-
კვივით ცხვირი ეკიდა, თვალებს ქურდულად აცეცებდა.

როგორც კი გაუსწრო ქვისფეხამ დედაბერს და ეზოში
შეიჭრა, დაუაპშის დედას მაშინვე ღონე გამოელია, მოი-
თენთა.

სამარისებური სიჩუმე იდგა. ქვისფეხამ საჩქაროდ მო-
ხადა თავსახური კალათს და თეთრი ბარტყი გაუშვა. და-
უაპშის დედამ ერთი კი გააღო პირი, ღრმად ამოისუნთქა.
ცხვირ-პირიდან ცეცხლის ალივით ამოვარდა ბოროტი სუ-
ლი და ნაპერწკლების ცვენით გაჰყვა ბარტყს.

ცოტა ხნის შემდეგ დიდყურას ყურები შეუტოკდა. მერე
დიდი ყური თანდათან დაუპატარავდა და ჩვეულებრივი
გაუხდა. ხალხმა ამ სასწაულის დანახვა ვერც მოასწრო,
რომ უცებ ქვების ნამტვრევებით აივსო იქაურობა. მოიხე-
დეს და ქვისფეხას ფეხებზე აღარც ერთი ქვა არ ება.
გრძელხელა პირდაღებული იდგა, გრძელ ხელს დაყრდნო-
ბოდა და გაოგნებული შეჰყურებდა გახარებულ მეგობ-
რებს. მან ვერც იგრძნო, როდის დაუმოკლდა ცალი ხელი.
პერანგის ცარიელი სახელო სასაცილოდ ჩამოეკიდა. ხელ-
მარჯვე ულამაზეს ჭაბუკად იქცა, ქალიშვილები თვალს ვე-
ღარ აშორებდნენ.

ხვრეპიაც ასევე შეუმჩნევლად ტანწერწეტა ვაჟკაცი
გახდა. ღიპის ნაკვალევიც არ ეტყობოდა.

ჯამხუხი ის იყო, მრა-კაპხასთან წასასვლელად მიბ-
რუნდა, რომ უცებ ირმის ბეწვი ჩამოცვივდა. მრა-კაპხას
დედამ ჯამხუხის ტიტველ ხელზე მაშინვე შენიშნა წითე-
ლი ხალი.

— ჩემი ჯირი, — დაიძახა ქვრივმა და ჯამხუხს გადა-

ეხვია. მერე ახალუხის ღილები შეუხსნა, მეორე ხალი გა-
უსინჯა.—ჩემი ჯირი, ჩემი ძვირფასი ჯირი!—ქვითინებდა,
თან ჯამხუხს ეხვეოდა.

ამ დროს აივანზე ხალხი აჩოჩქოლდა.

— გზა მიეცით, გაატარეთ! — გაისმა ხმები.

ხალხი გაიწ-გამოიწია. ყველა ერთ მხარეს იხედებოდა. რაღაცას ელოდა, მართლაც, თითქოს მზის სხივი შემოიჭ-რაო, გამოჩნდა მრა-კაპხას გაბრწყინებული სახე.

— დედა!

— შვილო!

ქვრივმა ხელი გაუშვა ჯამხუხს და შვილს გადაეხვია. ოცნით რომ გული იჯერა, უთხრა:

— აი, ეს არის, შვილო, მე რომ გიყვებოდი, ჩემი ჯირი, ახლა ამას ირმის შვილს ჯამხუხს ეძახიან.

მრა-კაპხამ შეხედა ჯამხუხს. ირმის შვილმა ვერ გაუ-ძლო მის ბრწყინვალებას და თავი ძირს დახარა.

●

დიდი ლხინი იყო. ხალხი დევების ტყვეობიდან განთა-ვისუფლებას ზეიმობდა. მრა-კაპხა — სიცოცხლის დაბრუ-ნებას, ჯამხუხი — ძმებთან შეხვედრას, მრა-კაპხას დედა კი — ქალიშვილის დახსნას ავი სულებისაგან, ჯირის პოვნას და საყოველთაო ბედნიერებას.

მაგრამ... ყველაფერს თურმე თავის დრო და საზღვარი აქვს. ასევე მხიარულებასაც.

ზეიმის შემდეგ შინ უნდა დაბრუნებულიყვნენ. ყველას

მიუწევდა გული ოჯახისკენ. როგორც იქნა დადგა ეს ნანატრი დროც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათქვეს გამგზავრების დრო, ადგილი და დაიშალნენ.

ამ წუთიდან ყველას თავისი საქმე გაუჩნდა. ზოგი საკუთარ ნივთებს ალაგებდა, ზოგი საგზალს ამზადებდა, ზოგი საქონლის წაყვანაზე ზრუნავდა.

გამგზავრების დროც მოვიდა. დაუაპშის ეზოში მოიყარეს თავი. მხოლოდ მწყემსები არ იყვნენ, ნახირს ადრიანად გაჰყოლოდნენ. მრა-კაპხა და დედამისი წუთებს ითვლიდნენ. ყველაზე მეტად ჯამხუხსა და მის მეგობრებს ეჩქარებოდათ.

ყველას ერთნაირი საზეიმო განწყობილება ჰქონდა. თითქოს ამინდიც კი ხარობდა მათან ერთად; მზე განსაკუთრებით ხალისიანად ანათებდა, ცაც სარკესავით მოწმენდილი იყო.

ირმის შვილმა ჯამხუხმა და მრა-კაპხამ პირობა მისცეს ერთმანეთს, სამშობლოში დაბრუნებისთანავე დავქორწინდეთო. ქორწილის დღეც დანიშნეს. მრა-კაპხას დედა ნეტარებით შეჰყურებდა სასიძოს და ქალიშვილს. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ბედნიერი იყო ჯამხუხი, მაგრამ მაინც რაღაც დარდი აწვალებდა, მოსვენებას არ აძლევდა. ვერ იქნა და ვერ გაიგო იმ ძმის ამბავი, დღემდე რომ თავით ატარებდა დიდ სიმძიმეს. ვის არ ეკითხებოდა, თვითონაც დაეძებდა, მაგრამ ვერავინ უთხრა სიმართლე, ვერაფერი გაიგო. იმედგაწყვეტილი ჯამხუხი შინ ბრუნდებოდა.

წასასვლელად გაემზადნენ. ამ დროს ერთი კაცი გამოჩ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნდა, მოდიოდა და თავზე უზარმაზარი სახლი ედგა. უცნობი მგზავრებს რომ მიუახლოვდა, გაჩერდა.

— გამარჯობათ თქვენი!—მიესალმა იგი, თავიდან სახლი ჩამოიღო და გვერდზე დადგა. ძალ-ღონით სავსე, კუნთმაგარი ვაჟკაცი ჩანდა. თურმე ცოტა ხნის წინ, შინ მიმავალი მწყემსები შეხვედროდნენ და დაწვრილებით მოეთხროთ ჯამხუხისა და მისი ძმების ამბავი. ესეც მაშინვე გამოეშურა ძმებთან შესახვედრად.

გადაეხვივნენ ახლად შემოერთებულ ძმას და ყველაფერი გამოჰკითხეს.

— რომ იცოდეთ, როგორ მომბეზრდა მარტო ხეტიალი. დღეიდან არც ერთი წუთით არ მოგშორდებით, — უთხრა მან ძმებს.

გახარებულმა ძმებმა იგი კიდევ ერთხელ ჩაიკრეს გულში და ბედნიერებისაგან გაბრწყინებული სახეებით, განაგრძეს გზა.

დაბრუნდნენ სამშობლოში. დაიწყეს ბედნიერი ცხოვრება. სულ მალე დიდი დოვლათი დაუგროვდათ. რაც სულსა და გულს უნდოდა, არაფერი აკლდათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

მაქითათის ნაამბობი
თარგმანი ა. გ ე წ ა ძ ი ს ა . . . 5
ჯამხუხი
თარგმანი მ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს ა . 37

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქტორი ც. ჩხაიძე
მხატვრები ო. ჯიშკარიანი, დ. დუნდუა
მხატვ. რედაქტორი შ. დოლიძე
ტექრედაქტორი ლ. ქვარცხავა
კორექტორი მ. ლაღაძე

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/V-68 წ.
ქაღალდის ზომა 70×108 1/32
ნაბეჭდი თაბახი 2,875
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,42
უე 00269 ტირაჟი 5.000 შეკვ. 1674
ფასი 17 კაპ.

*

გამომცემლობა „ნაკადული", მარჯანიშვილის, 5
Изд. «Накадули», ул. Марджанишвили, 5

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2 „ნაკადული", თბილისი, ფურცელაძის, 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5

С(Абх)2
894.611.3.32
632

7—3—3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Хашба Мушни Лаврентьевич
Рассказ Макитата
(На грузинском языке)
Детюниздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1968

У.172/220

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა